# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 20 მაისი 2003 №90 (1861) ფასი 50 თეთრი


# ქართული პოკერი
## ოთხთაბრძოლა არანაირი პროგნოზით

უცხო კაცმა საქართველოს ჩემპიონატის ცხრილს რომ ჩახედოს, იტყვის, აი, ბრძოლა, აი, ჩემპიონატი, აბა, ის არის საქმე, „ბაიერნმა“ ლამის საახალწლოდ რომ გაინალდა ბუნდესჩემპიონობაო.

იმ უცხო კაცმა ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ხარისხს რომ შეხედოს, ცხრილში ჩახედვით მიღებული შთაბეჭდილება კი გაუქარწყლდება, მაგრამ ჩვენს ჩემპიონატს დაძაბულობა რომ არ აკლდება და საქმე რაც უფრო ბოლოსკენ მიდის, ემატება, ესეც ფაქტია.

ფაქტია, რომ აქამდე არასდროს ყოფილა, სეზონის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ერთბაშად ოთხ გუნდს ებრძოლოს ჩემპიონობისთვის. თუმცა სანამ დარჩენილ ტურებსა და შანსებზე მოგახსენებდეთ, ამ უქმეებზე გამართულ ტურზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

„დინამომ“ და „ტორპედომ“ მოიგეს, რაც არავის გაჰკვირვებია და გულახდილად რომ ვთქვათ, გულიც გვიგრძნობდა, ეგრე რომ იქნებოდა. აი, იმის წარმოდგენა, რომ ტურის მთავარ მატჩში „ლოკომოტივის“ და ეროვნული ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია ერთბაშად ორ პენალტს აულებდა ვეტერინარებს, ძნელი წარმოსადგენი და გამოსაცნობი გახლდათ. ამ ორმა აღებულმა პენალტმა კი ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერად და ჩემპიონობის უმთავრეს მაძიებლად „დინამო“ აქცია.

დარჩენილ ტურებში „დინამო“ ჯერ „ლოკომოტივს“ სტუმრობს, მერე კი „სიონს“ მასპინძლობს. და თუ ვივარაუდებთ, რომ დინამოელები ბოლნისელებს მოუგებენ, „ლოკო“ — „დინამო“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუ „დინამომ“ მოიგო, რა უნდა მოხდეს, რომ ჩემპიონი ვერ გახდეს, ხოლო „ლოკომოტივმა“ თუ იყოჩაღა, ამასღა ვიტყვით: არანაირი პროგნოზი.




ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია 1:1. რკინიგზელები გიორგი ლომაიას უნდა უმადლოდნენ ქულა რომ დაინარჩუნეს

# UEFA CUP
# უფრო გემრიელი, თანაც კეტჩუპით
## ხვალ სელტიკი — პორტუა



REUTERS სურათიდან

პირდაპირ ვთქვათ: ბოლო წლებია, უეფას თასის ფინალები ბევრად საამო საცქერია, ვიდრე ჩემპიონთა ლიგისა. ასეთი იყო შარშანდელი „ფეიენოორდი“ — „დორტმუნდი“, შარშანწინდელი ცხრაგოლიანი „ლივერპული“ — „ალავესი“ ხომ საერთოდ...

ჰოდა, ეჭვი გვაქვს, წლევანდელი „სელტიკი“ — „პორტუც“ გვარიანი თამაში იქნება, ყოველ შემთხვევაში, სანახაობრივად „მილანი“ — „იუვენტუსის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალს აჯობებს.

წლევანდელი ფინალიო, ვთქვით. უმჯობესი იქნება, უფრო თუ დავაკონკრეტებთ — ხვალინდელი ფინალი.

ფინალისწინა პერიპეტიებს, მის მონაწილე ფეხბურთელებს, თავისი დამტკიცებულ-ჯანმრთელებით და მატჩისწინა განწყობა-კომენტარებს ხვალ გაგაცნობთ, დღეს კი ვთქვათ: სევილია, ფინალის მასპინძელი ქალაქი დიდ სამზადისშია. სამზადისში არიან კეტჩუპებად წოდებული ესპანელი გოგონებიც, რომლებიც თამაშის წინ თავის ცნობილ „კეტჩუპების სიმღერას“ შეასრულებენ. არაფერს შეასრულებს როდ სტიუარტი, ის მხოლოდ ტრიბუნაზე იჯდება და ვინძლო ხმის ჩახლეჩამდე უქომაგებს „სელტიკს“. სხვა სქოთი ქომაგები კი უკვე გზაში არიან, ისინი სევილიაში ავტობუსებით მიდიან.



უეფას თასის ფინალს ცნობილი კეტჩუპებიც უმღერებენ



# პოლიციას პრესა შჰვირს

**ქვეყანაში** უმძიმესი კრიმინოგენური ვითარების, ასობით გაუხსნელი დანაშაულის ფონზე ძნელად გასახსენებელია ისეთი შემთხვევა, ძალოვან სტრუქტურებს საზოგადოებისთვის მტკივნეულ თემაზე საჭირო ახსნა-განმარტება გაეკეთებინოთ. ძალოვანებს სხვათა ინტერესების დასაკმაყოფილებლად ერთი სისხლში გამჯდარი ფრაზა აქვთ — გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, კომენტარს ვერ გავაკეთებთ. ასეთი ვითარების ფონზე გუშინ უპრეცედენტო რამ მოხდა — შინაგან საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გაიმართა შპს „კროკოში“ ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით.

14 მაისს ძალოვანთა 150-კაციანი ჯგუფის „კროკოს“ ბიუროებში შეჭრამ ქართული მასმედიის მწვავე რეაქცია გამოიწვია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მეცხრე სართულზე ჩატარებული გუშინდელი პრესკონფერენციაც საზოგადოებრივი აზრის შეცვლას ისახავდა მიზნად. ეს თავადაც არ დაუმალავთ სამართალდამცავებს. იმიტომ მოგიწვიეთ, რომ ხალხს ჩვენ ვგონივართ დამნაშავე „კროკოსთან“ მიმართებაშიო. ვეჭვობთ, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნათქვამმა საზოგადოებრივი აზრი შეცვალოს, რადგან ჩვენმა გუშინდელმა მასპინძლებმა, ფაქტობრივად, უდანაშაულობის პრეზუმპცია დაარღვიეს. პრესკონფერენციას ძალოვანთა მხრიდან „კროკოს“ მისამართით გუშინ ცილისწამებაც არ დაჰკლებია.

გამოძიებაში მყოფ საქმეზე, რომელშიც ჯერაც უამრავი დეტალია დასადგენ-დასაზუსტებელი, შშს-ის წარმომადგენლებს ასე ღიად და ვარაუდების დონეზე (რომელიც სულაც არ წარმოადგენს მტკიცებულებას) აქამდე არასდროს ულაპარაკიათ. ამიტომაც ვეჭვობთ, რომ შესაძლოა, გუშინდელი პრესკონფერენცია ბუმერანგივით მიუტრიალდეს შსს-ის საგამოძიებო დეპარტამენტს და თბილისის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის სამსახურს.

*მერაბ მელუა (თბილისის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულობასთან ბრძოლის სამსახურის უფროსი):*

— ტოტალიზატორების თემა დღეს აქტუალურია. დიდი ხანია, ვმუშაობთ სათამაშო ბიზნესში არსებული განუკითხაობის აღმოსაფხვრელად. შევისწავლეთ ტოტალიზატორების საკანონმდებლო ბაზა. ჩვენ უკანონო საქმიანობაში ვამხილეთ „რეალი“ და „პრიზი“. ამ ორი ტოტალიზატორის შემდეგ „კროკოს“ მივადექით, რადგან შემოვიდა ინფორმაცია, რომ არ იხდიდნენ გადასახადებს. მოკვლევის პროცესში დავადგინეთ, რომ „კროკოს“ ჰქონდა არა ერთი, არამედ თხუთმეტი ობიექტი და თხუთმეტივეს ერთი ლიცენზიით ამუშავებდა. ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ კანონმდებლობით ერთი ლიცენზიაც საკმარისი იყო საქმიანობისთვის. ჩვენ დავადგინეთ, რომ მათ ოთხი ლიცენზია აქვთ. თუკი ერთი იყო საჭირო, რატომ აიღეს დანარჩენი სამი. ესე იგი, გამოდის, კიდევ თერთმეტი ლიცენზია ჰქონიათ ასაღები. ამიტომაც ამ მხრივ 11 ათასი ლარის ზიანი მიაყენეს ბიუჯეტს, რადგან ერთი ლიცენზიის აღება 1000 ლარი ჯდება. ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ ტოტალიზატორი ფსონებს დოლარებში იღებდა. ბილეთზე ხდებოდა თანხის ლარებში აღნიშვნა და ინიშნებოდა ვარსკვლავით. ყველა ასეთ ბილეთზე დოლარები იყო აღებული. გამოდის, რომ „კროკო“ ამ გზითაც აზარალებდა ბიუჯეტს, რადგან შემოსავლებს მალავდა.

ამ მოკვლევების გათვალისწინებით, მივიღე გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ. 2000 წლიდან გაზეთ „სარბიელის“ ყველა ქსეროასლი გავაკეთეთ. ამ გაზეთში „კროკო“ თავის რეკლამას განათავსებს, რაც ასევე დარღვევითაა გაკეთებული. ამ რეკლამის საფუძველზე „კროკოს“ 44 ფილიალი აქვს, წარმოიდგინეთ, როგორი განვითარებული ბიზნესის მფლობელია ეს ორგანიზაცია. ასეთ ვითარებაში მარტო თბილისის ბიუროებიდან 15 თვის განმავლობაში ბიუჯეტში გადასახადის სახით 18 ათას 800 ლარია შესული. გამოდის, „კროკო“ თვეში 1566 ლარს იხდის. ესე იგი, თითოეული ობიექტიდან გადასახადი საშუალოდ 100 ლარს უტოლდება. რადგან გადასახადი შემოსულის 10 პროცენტის ტოლია, გამოდის „კროკოს“ თითოეულ ობიექტს თვეში ათასი ლარი ჰქონია შემოსავალი. ეს ხომ აბსურდია. ასეთ სოლიდურ ორგანიზაციას გაცილებით დიდი შემოსავალი აქვს.

*გია ასაშვილი (შსს-ის საგამოძიებო დეპარტამენტის სამსახურის უფროსი)*

— სასამართლოს დადგენილების აღსასრულებლად 15 ჯგუფი შეიქმნა, რადგან „კროკოს“ ზუსტად ამდენ ობიექტზე აქვს თავისი ფილიალები. ჩვენმა ჯგუფებმა კანონის სრული დაცვით იმოქმედეს. „კროკოს“ ბიუროებში ჩხრეკაზე უარი გვითხრეს. გამოძიებას ჰქონდა ეჭვი, რომ განადგურდებოდა საქმისთვის საჭირო დოკუმენტაცია, ამიტომ მივიღეთ ჩხრეკის იძულებით ჩატარების გადაწყვეტილება. ამიტომაც არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ერთ-ორ ფილიალში კარის გატეხვა მოგვიხდა, მაგრამ კანონი ჩხრეკის ამგვარი მეთოდით ჩატარებას ითვალისწინებს. ეს არ იყო ძალადობა, ეს იყო იძულებით მოქმედება. კროკოელებმა უამრავი დოკუმენტაცია დახიეს და სანაგვე ყუთებში ჩაყარეს. მოსპეს კომპიუტერის დისკეტები და გადაყარეს. ეს ყველაფერი ვიდეოფირზე გვაქვს დაფიქსირებული და გაჩვენებთ.

მიუხედავად დაპირებისა, ასაშვილის ნათქვამის დამადასტურებელი ვიდეო მასალა შსს-ში მისული ჟურნალისტებისთვის არ უჩვენებიათ. გუშინდელი პრესკონფერენციის შემდეგ კომენტარი *„კროკოს“ ადვოკატს ბესო ქარცივაძეს* ვთხოვეთ:

— „კროკოს“ პრესკონფერენციის მოწვევა იმისთვის დასჭირდა, საზოგადოებისთვის ეცნობებინა, რომ ტოტალიზატორი მუშაობას აგრძელებს, დღევანდელი პრესკონფერენციის არსი კი ჩემთვის გაუგებარია. ძალოვანებმა ფაქტობრივად უდანაშაულობის პრეზუმპცია დაარღვიეს. მით უფრო, რომ ჩვენ ოფიციალური დადგენილება ჯერაც არ მიგვიღია იმასთან დაკავშირებით, რომ საქმე წარმოებაშია.

**ბაატა ძვანტალიანი**

## პორტუგალია

პირველი ლიგა
XXXII ტური

სეტუბალი 2:2 ბრაგა

## შვედეთი

VI ტური

ჰამარბი 1:1 გიოტებორგი
ლანდსკრონა 1:2 აიკ
იორგრიტე 2:0 იორებრო

საქართველოს უმაღლესი ლიგა 14 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

# 8 ტური

## I–VI ადგილები

# ესეც კოლხეთი!

თბილისი. 17 მაისი. 18 საათი. ეროვნული. 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 5:1 კოლხეთი

1:0 ახალაია (18), 2:0 ალექსიძე (22), 3:0 კვირკველია (26), 3:1 გაგუა (31), 4:1 ახალაია (40), 5:1 სამხარაძე (77)

**დინამო:** ზოიძე, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ბურდული (ექონია 65), ხახვაძე, კანდელაკი, გოგობერიშვილი (ი. სამხარაძე 62), კვირკველია, ალექსიძე (ჯაკობია 55), ახალაია
*სათადარიგონი:* გვარამაძე, მანჯგავა, ბ. ვ. მიქაძე, მ. ბობოხიძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**კოლხეთი:** ჩემია, გოროზია, მ. ქობულაძე, დ. ნარსია, გაბიდაური, დარსანია (ხურცილავა 80), შ. ღონღაძე, მარგალიტაძე (გოჩოლეიშვილი 46), გაგუა (ნ. ნარსია 60), კრასოვსკი, ტუღუში
*სათადარიგო:* ბერაია
**მწვრთნელი:** სოსო ფილია

**მსაჯები:** მ. მაღალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. ხილაგავა; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** გ. როსტომაშვილი

ჯარიმა: 8-10; კუთხური: 1-4; კარისკენ დარტყმა: 8-7; კარში დარტყმა: 7-3; თამაშგარე: 5-1


ივო შუშაკი

**დათო დანელია**

**კვირას** „ლოკომოტივი“ „ვიტ ჯორჯიას“ რომ შეასკდებოდა და მათი დაპირისპირებაც „დინამოს“ საჩემპიონო ორთაბრძოლაში ერთ კონკურენტს მაინც მოაკლებდა, ძნელად სავარაუდო სულაც არ იყო. ჰოდა, ათგზის ჩემპიონმა შესუსტებული შემადგენლობით მოთამაშე „კოლხეთს“ ღდინი პირველ ტაიმშივე გააცალა. „დინამოს“ საშაბათო გამარჯვებას რკინიგზელებისა და ვიტელების საკვირაო ფრეც დაერთო და ივო შუშაკის გუნდმა უკვე მერამდენედ, ზემოდან გადმოხედა კონკურენტებს.

ჩემპიონატის ბოლომდე „დინამოს“ ერთი საგარეო და ერთიც საშინაო მატჩი დარჩა. უფრო პრინციპული ვაკეში, „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ, სადაც ძირითადის ყველა ფეხბურთელი ეყოლება და თავს არ დაზოგავს, რათა მეტოქე წლეულს მეოთხედაც დაამარცხოს.

რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ შუშაკის გუნდი ცაკარიასისას ვერ მოუგებს, ან სულაც წააგებს? დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა ანგარიშით დამთავრდება თამაში „შევარდენზე“, სადაც საჩემპიონო შანსი „ვიტ ჯორჯიასაც“ და „ტორპედოსაც“ თანაბრად გაუჩნდებათ. ყველა სხვა შემთხვევაში „დინამო“ იჩემპიონებს. რაც შეეხება „ლოკომოტივს“, რკინიგზელებს პირველობის თეორიული შანსი ჯერაც შერჩენიათ, მაგრამ პრაქტიკულად ეს თითქმის წარმოუდგენელია. ცაკარიასის გუნდმა ზედიზედ უნდა დაამარცხოს ჯერ შუშაკის, მერე კი ფრუიძის ბიჭები. თანაც „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“ სასურველია ფრედ დასრულდეს, არადა, „შევარდენზე“ სტუმარმა უნდა იძალოს. „დინამომ“ შინ უნდა წააგოს „სიონთან“, ხოლო „ვიტ ჯორჯიამ“ ვერაფერი გააწყოს „კოლხეთთან“. როგორ გგონიათ, გამოვა ეს საქმე? ჩვენი აზრით, ეს სრული უტოპიაა და მსგავსი აზრები მხოლოდ იმ გუნდს შეიძლება აწუხებდეს, ხავსს რომ ეჭიდება.

ყველა კითხვას მომდევნო თუ არა, ბოლო ტური გასცემს პასუხს, მანამდე კი საშაბათო „დინამო“ — „კოლხეთს“ მივუბრუნდეთ.

სოსო ფილიას ბიჭებმა თამაშის დასაწყისში გაიფართხალეს. მასპინძელთა მცველებმა ბურთი ვერ გაიყვეს და დარსანიაც ზოიძესთან პირისპირ დარჩა. ვერ ივარგა ახალგაზრდა კოლხმა, დინამოელთა მეკარეს ბურთი თავზე კი გადაავლო, მაგრამ კარსაც ააცილა.

ამის მერე დაიწყო... ჯერ ახალაიამ გაიტანა ალექსიძის პასით, მერე ალექსიძემ იხეირა ხახვაძის ზუსტი გადაცემით. რატიმ ცოტა ხანში კვირკველიასაც გაატანინა და ტაიმის ბოლომდე ისევ ახალაია ახეირა.

ფოთელებმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს. ეს პენალტიდან გაგუამ შეძლო. ეს იყო და ეს, „კოლხეთს“ მასპინძელთა კარისკენ საგოლედ არ გაუხედავს.

მეორე ტაიმში „დინამოს“ მონაგარს შეცვლაზე შესულმა ირაკლი სამხარაძემ ერთიც მიამატა და თამაშიც, ფაქტობრივად, იქ დასრულდა.

კიდევ კარგი, „დინამომ“ მეორე ტაიმში მთელი ძალით არ შემოგვიტია, თორემ ანგარიში ჩვენთვის კატასტროფული იქნებოდაო, თქვა ნამატჩევს „კოლხეთის“ თავკაცმა *სოსო ფილიამ*.

*ივო შუშაკმა* კი განაცხადა, წინ ძალიან სერიოზული სამი თამაში გველის, ამიტომ საქმე სამხიარულოდ სულაც არ გვაქვს, ძალების სრული მობილიზება გვმართებსო.


დინამოელები სტუმართა საჯარიმოს ხშირი სტუმრები იყვნენ

თბილისი. 18 მაისი. 18 საათი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 1:1 ვიტ ჯორჯია

0:1 მელქაძე (15), 1:1 ონიანი (81)

*მელქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (16, მეკარე), გველესიანმა ვერ გაიტანა პენალტი (43, მეკარე)*

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ზ. ლაცაბიძე, სალუქვაძე, რ. ონიანი, სოხელია (რუსია 46), ჭიჭვეიშვილი, სირაძე, ხალახარი (ძოძუაშვილი 61), მ. ბურნაძე (ძამსაშვილი 79), ნანა
*სათადარიგონი:* ივარდავა; კობახიძე, გოგინაშვილი, კაიდარაშვილი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, ინწკირველი, მუჯირი, გველესიანი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (კვახაძე 61), ვ. გოჩაშვილი (ბოლქვაძე 74), მარცვალაძე (ყიფიანი 85), ადამია, მელქაძე
*სათადარიგონი:* ქურაძე; დათუნაშვილი, ფეიქრიშვილი, ვ. მერებაშვილი
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** ლაცაბიძე (43), გველესიანი (48), ბურნაძე (57), მუჯირი (65), ბოლქვაძე (90)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

**ჯარიმა:** 23-28; **კუთხური:** 4-1; **კარისკენ დარტყმა:** 10-3; **კარში დარტყმა:** 4-5; **თამაშგარე:** 3-0

# ლომაას წილი

## ლოკომოტივმა და ვიტ ჯორჯიამ დინამოსთვის ითამაშეს



ლევან მელქაძის ეს პენალტი გიორგი ლომაიამ კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე მაინც ვიტელმა იმარჯვა

[illegible] კორინთელის ფოტო

**კობა ინასარიძე**

**საქართველოს** ჩემპიონატისთვის იშვიათი სანახაობის მატჩი შედგა კვირას თითქმის ცარიელ „ლოკომოტივზე": ორი გოლი, ორიც გაცუდებული პენალტი, ათი ამდენი საგოლე მომენტი, უცხოელ მწვრთნელთა დუელი, დაწყვეტილი ნერვები, ლომაიას ბრწყინვალე თამაში და გაოცებული თვალები... გუშინწინდელ „ლოკომოტივ" — „ვიტ ჯორჯიას" მხოლოდ ქომაგი აკლდა. ასეთ მატჩს ხუთასამდე მაყურებელი არ ეკადრებოდა.

სატურნირო თვალსაზრისით შეხვედრა ორივე გუნდისთვის მნიშვნელოვანი იყო. სტუმრები სამი ქულით ლიდერობას შეინარჩუნებდნენ, საჩემპიონოდ დარჩენილი სამი ნაბიჯიდან ერთს გადადგამდნენ; მოგებული „ლოკომოტივი" კი იმდღევანდელ მეტოქეს მოიტოვებდა, „დინამოს" კვალში ჩაუდგებოდა და ჩემპიონობის კარგ შანსს შეინარჩუნებდა. ფრე კი ორივე გუნდისთვის დამღუპველი და „დინამოს" გასახარი გამოდგა.

მატჩი ისე დაიწყო, ვერ იფიქრებდი, თუ წინ ნამდვილი დრამა გველოდა. ტაიმის პირველ მესამედში პოზიციური ბრძოლა იყო გაჩაღებული და შეტევებით თავს არც ერთი გუნდი არ იკლავდა. მეტოქეები უფრო ჩასაფრებულნი იყვნენ, ერთმანეთის შეცდომასა და გამოჭერას ელოდნენ. მე-15 წუთიდან კი მატჩი სხვანაირად გაგრძელდა და, ლოგიკურად, კულმინაციას ბოლოს უწია. ეს თვალსასეირო თამაში ფაქტობრივად მელქაძე-ლომაიას შეყრით დაიწყო, თუმცა იქამდე საქმეში „ვიტ ჯორჯიადან" ერთ-ერთი საუკეთესო გოჩაშვილისა და მასპინძელთა მცველების ხელი, უფრო სწორად ფეხი ერია. საჯარიმოში შურდულივით შევარდნილი გოჩაშვილი მცველთა შლაგბაუმმა შეაჩერა, მეშკოვმა კი უყოყმანოდ პენალტი დანიშნა. რკინიგზელებს ეს გადაწყვეტილება არც გაუპროტესტებიათ, იმდენად აშკარა ჯარიმა იყო. პენალტის დასარტყმელად მელქაძე მოემზადა, ლომაიამ იყოჩაღა, კუთხე გამოიცნო და ბურთი უკუაგდო, თუმც „ლოკომოტივი" გოლს მაინც ვერ გადაურჩა. მელქაძემ შეცდომა გამოასწორა და წაქცეულ მეკარეს უკვე საპირისპირო კუთხეში დაურტყა — 0:1.

„ლოკომოტივი" აიჭრა. მასპინძლებს ბურთის ხეირიანად გორება უჭირდათ, სტუმრები კი პირიქით, დამშვიდნენ და კიდევ ერთი-ორჯერ მწვავედაც შეუტიეს.

ამასობაში 43-ე წუთმაც მოატანა. „ლოკომოტივის" საჯარიმო მოედნის მარჯვენა კუთხესთან „ვიტ ჯორჯიამ" ჯარიმა მოინადირა. პირდაპირ კარში დარტყმაც ივარგებდა, მაგრამ სტუმრებმა გათამაშება ისურვეს. გველესიანი ბურთს გადაახტა, კედელს ჩაუქროლა და ნოზაძისგან ზუსტი პასიც მიიღო. საჯარიმოში შეჭრილს ხელის შემშლელი არავინ გამოუჩნდა. გველესიანის შესახვედრად კარიდან ლომაია გამოვარდა, ვიტელმა თითქოს დაარტყა, თითქოს ჩააწოდა, ბურთი კი ლაცაბიძეს ხელზე მოხვდა — პენალტი. რკინიგზელები აღელდნენ, მსაჯს მისცვივდნენ, გადაწყვეტილება არ მოუწონეს, მაგრამ საბოლოოდ გაფრთხილებას გამორჩნენ. პენალტის დასარტყმელად უკვე გველესიანი მოემზადა. მანაც და ლომაიამაც იგივე კუთხე აირჩიეს და მოგებული ამჯერადაც მეკარე დარჩა. ლომაიამ „ფეხი დატოვა", ბურთი კარს უკან, კუთხურზე გადავარდა. მატჩში, მით უმეტეს ასეთ მატჩში, ორი პენალტის მოგერიება, დიდი საქმეა.

შესვენების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ" უკან დაიხია და ჩანდა, ანგარიშის შენარჩუნებაზე თამაშობდა. იშვიათად თუ წამოიწყებდა კონტრშეტევას და ისიც არ გამოსდიოდა. ტაქტიკის შეცვლა მწვრთნელს შეცდომად უნდა ჩავუთვალოთ. კარნევალის მეორე ტაიმისთვის გუნდი ამგვარად ხშირად გადაუწყვია და თუ აქამდე მატჩი მოგებამდე მიჰყავდა, კვირას ეს არ გამოუვიდა, თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ ანგარიშის გათანაბრებამდე სტუმრებს ერთი რეალური საგოლე მომენტი გაუცუდდათ. გველესიანმა ფლანგიდან საჯარიმოში შეაგორა ბურთი, იქ კი მცველთაგან თავისუფალმა მელქაძემ, მერე კი ადამიამ დარტყმა ვერ მოახერხეს.

„ვიტ ჯორჯიას" სიფრთხილეს „ლოკომოტივის" შესამჩნევად გააქტიურება მოჰყვა. სირაძემ თავდასხმიდან უკან, გამთამაშებლად დაიწია, სოსელიას ნაცვლად მოთამაშე რუსია კი წინ ნანას დაეხმარა. სტუმართა კართან მომენტებმაც იმატა. სირაძე თავის ჩვეულ პოზიციაზე უფრო ეფექტურად ათამაშდა. გონივრული პასებითა და დარტყმებით მან მეტოქე გვარიანად ანერვიულა.

მწვრთნელმა ცაკარიასმა მარცხის სიახლოვე რომ იგრძნო, ბურნაძე მცველ ძამსაშვილით შეცვალა, ტანმაღალი მცველი ლაცაბიძე კი ნახევარდაცვას მიახმარა, იქამდე ინერტულ სალასარს ფორვარდი ძოძუაშვილი ამჯობინა და „ლოკომოტივის" შემტევმა ძალამაც იმატა. ცაკარიასმა შედეგი მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე მიიღო: საჯარიმოში ბალაშვილის ჩაკიდულ ბურთს სირაძე თავით შესწვდა და კარისკენ გადააგდო, იქ ონიანი იყო ჩასაფრებული და მანაც თავურით ბურთი კარში შეაგდო — 1:1.

მერე მატჩი გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. „ვიტ ჯორჯია" ისევ გააქტიურდა. გოლით შეგულიანებული მასპინძლებს კი რაღა გააჩერებდათ. იქით-აქეთ მომენტები არ დალეულა, ყოჩაღობდნენ მეკარეები და სცოდავდნენ ფორვარდები. რეალურზე რეალური საგოლე შანსი გააცუდა ნანამ, რომელიც ძოძუაშვილმა მერლანს პირისპირ შეატოვა, მაგრამ შავი კაცის უხეიროდ დარტყმული მეკარემ მოიგერია. ამ შეტევას ყიფიან-ადამია-გველესიანის სწრაფი „სამკუთხედი" მოჰყვა, თუმც დარტყმულმა ძელს ჩაუქროლა, წაიღო ბურთი „ლოკომოტივმა" და ისევ მეკარემ იყოჩაღა, მერე ისევ გველესიან-ლომაიას დუელი იყო... მოკლედ, შეტევას შეტევა ენაცვლებოდა, ფეხბურთელებმა ერთმანეთი არ დაინდეს, ტრიბუნაზე კი „დინამო" იყო მოკალათებული და...

*ჯანი კარნევალი, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*

— მეორე ტაიმის ნახევარი საათი ძალიან გაგვიჭირდა. „ლოკომოტივმა" ტემპს უმატა, ჩვენები კი დაიღალნენ. მით უმეტეს, დღეს ღიღმელაშვილი არ გვყავდა და შუა მოედანში ძალა მოგვაკლდა. ვფიქრობ, ფრე ლოგიკური შედეგია, მატჩი ძალიან კარგი გამოვიდა. „დინამოს" ჩემპიონობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა, ამ გუნდს „ლოკომოტივთან" აქვს სათამაშო. ჩემპიონი ჩემპიონატის დამთავრებამდე არ გაირკვევა.

*ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:*

— ბევრი მომენტი გვქონდა და საწყენია, რომ ერთის მეტი ვერ გამოვიყენეთ. თავდამსხმელების დიდი არჩევანი არ გვაქვს, ამიტომაც იძულებული ვიყავი, პირველ ტაიმში ნანასთვის სირაძე შემეწყვილებინა. შესვენების შემდეგ უკეთ ავთამაშდით. ნანა დღეს აქტიური იყო, ბევრიც იბრძოლა. ლომაია კი საქართველოში და ალბათ ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. მან ეს დღესაც დაამტკიცა. არც მე ვფიქრობ, რომ „დინამო" ჩემპიონია, მომავალ ტურში ხომ სწორედ ჩვენ გვეთამაშება.

# იონას და ბრაზილიის დღე ქუთაისში

**კახა შალამბერიძე ქუთაისიდან**

**ქუთაისში** იმედი გაჩნდა. ბოლო სამ სეზონში ჩემპიონობას დაჩვეული ქუთაისელი გულშემატკივარი ნამატჩევსაც ითვლიდა საჩემპიონო შანსებს. გამოთვლა არც ისე ძნელია: „ლოკომოტივ" — „ვიტ ჯორჯიას" ფრის გათვალისწინებით „ტორპედომ" დარჩენილი ორი მატჩი (სწორედ ამ გუნდებთან) უნდა მოიგოს, მთავარმა კონკურენტმა თბილისის „დინამომ" კი საკმარისია ერთხელაც წაიფორხილოს...

მათ ანალიზსა და ამოცანების ამოხსნას აქ შევეშვათ. თუმცა „ტორპედო" — „სიონის" მატჩში გამოთვლის თუ არა, თვლის ცოდნა მაინც საჭირო იყო. ქუთაისურებს შეეძლოთ, ისედაც უხვგოლიანი ჯახი კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დაესრულებინათ, თუმცა უკმაყოფილო, ცხადია, არც 5:1-ით დარჩენილა ვინმე.

„ტორპედოს" ამბები იცით, უკრაინელმა ალექსანდრ შტელინმა ქუთაისი უკვე დატოვა და სოსო ფრუიძემაც კვირას მოიწყო ხელმეორე დებიუტი რიონისპირა ქალაქში. ქვემოქართლელთა დამრიგებელი თემურ მახარაძე კი ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ სწვევია მისთვის კარგად დაცდილ ქუთაისს. „სიონიც" მისმა თანაშემწეებმა, ფირუზ რეხვიაშვილმა და გიორგი ყიფშიძემ გაიყვანეს სათამაშოდ.

ზუსტად თერთმეტი დღის წინ ამ სარბიელზე ბოლნისის „სიონი" ზარობდა. თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში სტუმრებმა საჭირო 0:0 გამოსტაცეს ხელიდან მასპინძლებს და თავი თასის ფინალში დაიგულეს.

მაშინ „ტორპედოს" ლიდერმა ზურაბ იონანიძემ ხელები თავში წაიშინა, მოედანს რომ ტოვებდა — მან პენალტი ვერ გაიტანა.

კვირას კი იონანიძე შეუჩერებელი იყო, თუმც ეს გასაკვირიც არაა. „იონას" გარეშე ხომ „ტორპედო" უკვე წარმოუდგენელია. აქედან გამომდინარე, იმის თქმაც არ იქნება უსაფუძვლო, „ტორპედოს" საჩემპიონო შანსები რომ გაუჩნდა, მეტწილად სწორედ მისი დამსახურებაა.



ზურაბ იონანიძე

[illegible] ფოტო

ბოლო სამ საჩემპიონატო მატჩში „ტორპედომ" ათი გოლი გაიტანა, აქედან შვიდი „იონასია". დასკვნები თავად გააკეთეთ.

მასპინძლების უპირატესობა გასაკვირი ალბათ კვირის მატჩშიც არ იყო. „სიონს" სეზონის მთავარი შეხვედრა 26 მაისს ელის და მანამდე თავს „განტვირთვის" უფლებას აძლევს. ბოლნისელებს თავი არ მოუკლავთ და დიდად არც შედეგს გაუნაწყენებია ისინი.

ერთი რამ შევნიშნეთ ქუთაისში უცნაური: ამ ბოლო ხანს ქუთაისურ სარბიელზე მისული გულშემატკივარი სხვადასხვა ქვეყნის დროშას აფრიალებს. კვირას ბრაზილია „დაფასდა".

„ტორპედო" კი მეორე ადგილზე წამოსკუპდა და „დინამოს" ორი ქულით ჩამორჩება. ნამატჩევსაც ქუთაისელი ქომაგი „ტორპედო", „ტორპედოს" ყიჟინით ტოვებდა სტადიონს. გულშემატკივართა შეძახილები ქალაქის ქუჩებშიც გაგრძელდა. ასეთი რამ ქუთაისში ბოლოს ერთი წლის წინ მოხდა. მაშინ „ტორპედო" ჩემპიონი გახდა. ქუთაისი ახლაც იგივეს ელის, თუმცა, დათმობს „დინამო" რამეს?

ქუთაისი. 18 მაისი. 18 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 500)

## ტორპედო 5:1 სიონი

1:0 იონანიძე (34), 2:0 გოგიტიძე (41ა.კ.), 3:0 იონანიძე (44), 4:0 ქუთათელაძე (50), 4:1 შავგულიძე (51), 5:1 იონანიძე (88)

**ტორპედო:** სტურუა, ხვადაგიანი (ზ. ქუთათელაძე 46), მახვილაძე, თოდუა, ლ. ჭელიძე (გ. დარსაძე 81), ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ჭელიშვილი 77), გამეზარდაშვილი, პორომინი, გ. ჩხეტიანი, იონანიძე
*სათადარიგონი:* რევიშვილი; ახალკაცი
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**სიონი:** ბათიაშვილი, გოგიტიძე, ხუჯაძე, ფანჩულიძე (სვანიძე 52), ბაქრაძე, ირემაშვილი, გაბისკირია, დაუშვილი (ნიჟნივაძე 81), შავგულიძე, დოლვაძე, ე. გვასალია (დევიძე 64)
*სათადარიგო:* ვოლკოვი
**მწვრთნელები:** გიორგი ყიფშიძე და ფირუზ რეხვიაშვილი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. სილაგავა; **დირექტორი:** გ. კეტაშვილი

**ჯარიმა:** 9-12; **კუთხური:** 7-3; **კარისკენ დარტყმა:** 8-3; **კარში დარტყმა:** 12-4; **თამაშგარე:** 6-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 8 | 4 | 2 | 2 | 13:6 | 42 |
| ტორპედო | 8 | 4 | 2 | 2 | 12:4 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 3 | 1 | 8:4 | 40 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 1 | 3 | 15:7 | 38 |
| სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:15 | 22 |
| კოლხეთი | 8 | 0 | 3 | 5 | 1:19 | 18 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 24 - იონანიძე | *ტორპედო* |
| 20 - მელქაძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 14 - დარასელია | *დინამო* |

## VII–XII ადგილები



[illegible] ბათუმიდან

„გორდას“ კართან სახიფათო მომენტები არცთუ იშვიათად იქმნებოდა

# ზოგჯერ წუთი წუთზე მეტია

ბათუმი. 17 მაისი. 18 საათი. დინამო. 1 000 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:0 გორდა

1:0 ფირცხალაიშვილი (45)

| | |
|---|---|
| ბათუმი: ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, დუმბაძე, ქაცარავა, თედორაძე, ი. შენგელია (ბეჟანიძე 85), დარჩიძე (ცინარიძე 90), ფირცხალაიშვილი, გ. მოდებაძე (ფურცხვანიძე 88). სათადარიგონი: ი. ბალაძე; იალამიდი, სეფერთელაძე, ცანავა. მწვრთნელი: ახლან ბალაძე | გორდა: ბედიაშვილი (ჯანიაშვილი 66), პაპაშვილი, არხოშვილი, ბერიძე, ჯ. ჩხაიძე, ხოხელი (იჩკიტიძე 75), სილაგაძე, ზვ. ლაბაძე, ბ. ნოზაძე, ადეიშვილი (სოზაშვილი 60), ლ. ალადაშვილი. სათადარიგო: გაბრიჭიძე. მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი |

გაფრთხილება: პაპაშვილი (10)

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ჯ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (სამივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ზ. პეტრიაშვილი; დირექტორი: დ. ქლიბაძე

ჯარიმა: 14-19; კუთხური: 1-1; კარისკენ დარტყმა: 5-1; კარში დარტყმა: 4-0; თამაშგარე: 6-6

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

ამ მატჩამდე ასე იყო. „გორდა“ ორი ქულით ჩამორჩებოდა „ბათუმს“, ხოლო „მილანს“ სამი ქულით უსწრებდა. ამასთან, წნორელებს ზესტაფონში მოგება რომ არ გაუჭირდებოდათ, ესეც ცხადზე ცხადი იყო. სწორედ ამიტომ რუსთაველთათვის ბათუმურ თამაშს ლამის სასიცოცხლო მნიშვნელობა მისცემოდა, თუმც სტუმართა ქცევაში ამას ნაღდად ვერ იგრძნობდა კაცი. იასონ ალადაშვილის ბიჭებმა კარისკენ, თან არცთუ სახიფათოდ, მხოლოდ 85-ე წუთზე დაარტყეს. პირველი კუთხური და უკანასკნელიც, სულაც მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე ჩააწოდეს.

საკვირველია ისიც, რომ თავად ზღვისპირელებსაც არ გამოუდიათ დიდად თავი. ითამაშეს ისე, თითქოს ერთი არაფრისმომცემი მატჩი ყოფილიყოს. თუმც ფაქტი კია — ასეთი გარჯითაც სრულიად იოლი დასამლევი ყოფილა „გორდას“ წინააღმდეგობა.

ქართული ფეხბურთის დონე ამაღლდაო, გვიძახიან მავანნი. ვერ გეტყვით, ამაში რას გულისხმობენ, რადგან ვინც ქვეყნისეულის გუნდების თამაშს იხილავს, ამას ვერ დაეთანხმება. შაბათს „დინამოზეც“ საშინლად მოსაწყენი ბურთაობა ვიხილეთ. ბურთის უთავბოლოდ გადაგდება-გადმოგდებებს და ალმა-დალმა უაზრო სირბილს შორის სახიფათო მომენტები იშვიათად თუ შეიქმნებოდა, რა თქმა უნდა, სტუმართა კართან.

ასეთ ეპიზოდს პირველ ტაიმში ორს თუ გაიხსენებს კაცი. მე-20 წუთზე გუშარაშვილის თავური ძელმა აისხლიტა, ხოლო ტაიმის ბოლოს „ბათუმმა“ გატანა მოახერხა. დარჩიძემ გამოზომილი პასით მოდებაძე მეკარეს მარტოდმარტო შეატოვა. ზღვისპირელთა მოიერიშეს ბურთი ფეხებში აებლანდა და სიჩქარეც დაკარგა, თუმცა მარცხნიდან შემორბენილი ფირცხალაიშვილი მაინც მოძებნა. ამან კარში დარტყმა კი მოახერხა, მაგრამ ბედიაშვილს მშველელად ჩხაიძე მოევლინა, რომელმაც ბურთი ცარიელი კარიდან კუთხურზე გადააგდო. „გორდა“ გოლს მაინც ვერ გადაურჩა. შენგელიამ ეს კუთხური ახლო ძელთან ჩაახვია, სადაც ბურთს იგივე ფირცხალაიშვილი დაუხვდა და უყურადღებო მცველები გოლით დასაჯა. შილაკაძემ უმალ ტაიმის დასრულებისა ჩასტვინა და რუსთაველთა ალყაშიც მოექცა — დამატებული ერთი წუთი უკვე გასულიყო, შილაკაძემ კი კუთხურის ჩაწოდება აკალა მასპინძლებს. ამას რომ გოლი მოჰყვა, სტუმრები ამან აღაშფოთა.

მეორე ტაიმში თამაშის სურათი დიდად არ შეცვლილა. ქვემოქართლელებს კი სურდათ თამაშის გადარჩენა, მაგრამ ძალა არ შესწევდათ. „ბათუმმა“ ტემპს ოდნავ უმატა, აგრესიაც შეიმატა, თუმც მეტოქის კართან დიდი ვერაფერი შექმნა. სხვებზე მეტად ფირცხალაიშვილმა მოინდომა და დუბლის შესრულებასთან ახლოსაც იყო.

პირველად მან ბურთი ვერ დაიმორჩილა რიგიანად, მომენტიც გააცუდა და ბედიაშვილიც შეიწირა — ბურთისთვის ბრძოლაში „გორდას“ მეკარეს შეეჯახა, რომელიც საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბედიაშვილმა ფეხი მოიტეხა და „გორდას“ კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა სამომავლოდ.

მატჩის დასრულებას ხუთიოდ წუთი უკლდა, ფირცხალაიშვილმა გატანის მეორე ჩინებული შანსი რომ გაუშვა ხელიდან. ივარგა ბედიაშვილის შემცვლელმა ჯანიაშვილმა, რომელმაც ახლოდან დარტყმული ჩინებული ნახტომით უკუაგდო.

მოგებით „ბათუმმა“ თავი სამშვიდობოს დაიგულა, აი, „გორდას“ კი შეიძლება გადათამაშებაც სანატრელი გაუხდეს. არც იქნება გასაკვირი, რადგან ასეთი უსუსური თამაშით სხვა შედეგს არც უნდა ელოდნენ.

# დაფა და მზესუმზირა

ზესტაფონი. 17 მაისი. 18 საათი. ცენტრალური. 200 (ტევადობა 10 000)

## მეტალურგი 0:1 მილანი

0:1 მედოევი (35)

| | |
|---|---|
| მეტალურგი: ლვინიაშვილი, ნახრაძე (ჭუმბაძე 83), ნიქარიშვილი, შველიძე, კვანტრიშვილი, კაპანაძე (ხარატიშვილი 79), მანჯავიძე, გ. ბოგვერაძე (შუღლაძე 68), მამუკაშვილი, ჭუმბურიძე, ე. მაღლაკელიძე. სათადარიგონი: მდინარაძე; მიქაბერიძე, ბელაშვილი, ნებიერიძე. მწვრთნელი: გურამ მაზმიშვილი | მილანი: მამალაძე, გიორგაძე, ლამბაშიძე, ეგაძე, მეტონიძე, ჯაფარიძე, გ. ჩხაიძე, ბარამიძე, მურჯიკნელი, ლულუნაძე, მედოევი. სათადარიგონი: გიორბელიძე; ხაჩიძე, ბაჯელიძე, ეცადეიშვილი. მწვრთნელი: ზურაბ ბოჭორიშვილი |

გაფრთხილება: ბოგვერაძე (8), ეგაძე (38), გიორგაძე (45), ჭუმბურიძე (45)

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ეკიბაია; დირექტორი: გ. სორდია

ჯარიმა: 23-8; კუთხური: 1-6; კარისკენ დარტყმა: 2-8; კარში დარტყმა: 2-5; თამაშგარე: 1-12

ვაჟა ხუციშვილი ზესტაფონიდან

სტადიონის შესასვლელში, კედელზე, დაფაა. დაფაზე „მეტალურგის“ ისტორიაა სურათებით აღწერილი. ამჟამინდელი გუნდი წარმატებების გამო ვერა, მაგრამ როგორც უსუსტესი კი ისტორიაში ალბათ მაინც შევა. ვინ და რატომ დაიდო ზესტაფონელ ქომაგთა ცოდვა ამ სეზონში, იმერლები თავად გაარკვევენ, თუმცა ამით დალუპულ საქმეს აღარ ეშველება.

სტადიონის შესასვლელში მზესუმზირას ჰყიდიან. მარცვლის კვნეტა ტრიბუნაზე ქართული ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია. ბევრი გულშემატკივარი ბევრი მზესუმზირის გასაღებას უდრის. ჩვენში „მესემიჩკედ“ წოდებულმა ქალბატონმა დაიჩივლა, გუნდი დაიშალაო. რომ დაიშალა და მაყურებელმა იკლო, ეს ფაქტი მის ისედაც მწირ ბიუჯეტზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ ამიტომ ჩიოდა.

გულშემატკივრები ცოტანი იყვნენ. ერთმა მათგანმა თქვა, ამათ თამაშს რომ უყურებ, ფეხბურთი შეგიყვარდებაო. სტადიონი სევდანარევი იუმორით გაიჟღინთა. ქომაგებმა მოედანზე საინტერესო ვერაფერი ნახეს და თავს ხუმრობით იქცევდნენ. წნორის „მილანის“ ფეხბურთელებს დიდი „მილანის“ მოთამაშეთა გვარებით მოიხსენებდნენ და ზედ კომენტარებსაც ურთავდნენ. მოკლედ, ხან ჯენარო გატუზო უტევდა მასპინძლებს და ხან რუი კოშტა.

სანახავი ნამდვილად არაფერი იყო. მატჩის შემდეგ ზესტაფონის „მეტალურგი“ ოფიციალურად პირველი ლიგის ბინადარი გახდა.

თავად შეხვედრამ ზლაზვნით ჩაიარა. სტუმრებმა მეტი გამოცდილების ხარჯზე აჯობეს მეტოქეს. ერთადერთი გოლი მედოევმა ოსტატურად შესრულებული დარტყმით გაიტანა. მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი მკერდით დაიგდო და თხუთმეტიოდ მეტრიდან ძირს დაუშვებლად ლონივრად დაჰკრა.

პირველ ტაიმში გამოსარჩევი კიდევ ის იყო, რომ გიორგაძემ ბურთიანად გაქცეული ჭუმბაძე წააქცია. წაქცეული წამოხტა და მეტოქენი კინაღამ ხელდახელ შეიბნენ. ორომტრიალში სხვა ფეხბურთელებიც შეერივნენ. ისინი მალევე დააშორიშორეს და მსაჯმაც ჩხუბის მოსურნეთაგან ორნი გააფრთხილა.

შესვენების შემდეგ „მილანმა“ ტემპს ოდნავ მოუმატა და „მეტალურგის“ კართან საგოლე მომენტებმა იმრავლა. ლვინიაშვილთან პირისპირ დარჩენილი სოსო ბარამიძე მეკარეს გასცდა და ბურთი ძელს გაარტყა. მოედანზე დაბრუნებულ ბურთს მედოევმა დაამატა, თუმცა კარის ხაზზე მცველმა იყოჩაღა.

შეხვედრის მიწურულს ჩხაიძის ფლანგურ გარღვევა კარის წინ ზუსტი პასით დასრულდა, მაგრამ ლულუნაძემ ადლიდან ააცილა.

წნორელებმა არაერთხელ სცადეს სხვაობის გაზრდა, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდავდნენ.

შეხვედრა დამთავრდა და სახანძრო მანქანის საყვირმა იყივლა. ისიც სევდანარევი იყო.

# გინება ბოდიშით

გორი. 17 მაისი. 18 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 1:3 მერანი-ოლიმპი

1:0 ხარებავა (7ს.კ.), 1:1 ხოჯავა (22), 1:2 მიკუჩაძე (56), 1:3 დავითაშვილი (77)

| | |
|---|---|
| დილა: გ. სომხიშვილი, გ. ჩიტაია, რ. სტაბურიძე, ოლექსაშვილი (მარლიშვილი 66), სულთანიშვილი, ახალაძე, გილაური (მ. სომხიშვილი 61), მორჩილაძე, მუმულაძე, რაზმაძე (სოლოლაშვილი 83), ლ. გოჩაშვილი. სათადარიგონი: საყვარელიძე, ალ. ლაბაძე, ხანიშვილი, ფეზუაშვილი. მწვრთნელი: ზურაბ სორგუაშვილი | მერანი-ოლიმპი: ნაჭყებია, ხარებავა, მიქიაშვილი, სიდამონიძე, მესხი, დავითაშვილი (მალაზონია 90), გოგიჩაიშვილი, გ. ნუგ. ქელიძე, ხოჯავა (ნადირაშვილი 88), აფციაური, მიკუჩაძე (ელიავა 69). სათადარიგონი: გაბელია; კიკაჩეიშვილი, ნინუა, ლოლაძე. მწვრთნელი: ნიკოლოზ დოლიძე |

გაფრთხილება: მესხი (17), ჩიტაია (44), ლ. გოჩაშვილი (75), სულთანიშვილი (75), აფციაური (80)

გაძევება: გ. სომხიშვილი (83)

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ზ. ხუციშვილი, კ. თბილელი; ი. კახიანი (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

ჯარიმა: 22-15; კუთხური: 5-2; კარისკენ დარტყმა: 2-6; კარში დარტყმა: 3-9; თამაშგარე: 1-4

მამუკა კვანტალიანი გორიდან

ქუთაისელ არბიტრს პაატა დოგრაშვილს ცოტა დიპლომატიურად რომ ემსაჯა, არც მომჩივანი ეყოლებოდა და მომავალი ტურისთვის „დილას“ წამყვანი მოთამაშეების გამოკლებასაც აარიდებდა, თორემ მასპინძელი „მერანი-ოლიმპთან“ განწირული რომ იყო, თამაშიდანაც კარგად ჩანდა.

დოგრაშვილს, რა თქმა უნდა, ჰქონდა წვრილ-წვრილი შეცდომები, მაგრამ მთლიანობაში ამას შედეგზე გავლენა არ მოუხდენია და „დილამაც“ წაგების მიზეზები პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებოს.

ძირითადის სამი ფეხბურთელის არყოფნაში მასპინძელთა დაცვამ და შუა ხაზმა არადამაჯერებლად ითამაშეს. „დილამ“ სტუმართა კართან ორი საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ მეტოქეს, სულ ცოტა, ოთხჯერ მეტად საგოლედ შეატევინა და დამარცხდა.

იქნებ ჩვენ ბოლომდე არ ვიცით, რა ხდება ქართული ფეხბურთის კულისებში, ბოლომდევე ვერ ვაცნობიერებთ მსაჯთა მიმართ გამოვლენილი აგრესიის და უნდობლობის ნამდვილ მიზეზებს, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ძლიერის და სუსტის აღქმა-შეფასება არ გვეშლება, ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „დილას“ დამარცხებაში ლომის წილი დოგრაშვილს კი არა, „მერანი-ოლიმპს“ მიუძღვის.

მეშვიდე წუთი იყო, როცა გილაურმა სტუმართა საჯარიმოში ჩააწოდა, საჰაერო ორთაბრძოლაში კი ნაჭყეპია რაზმაძეს დაეჩაგვრინა. კარისკენ მიმავალ ბურთს ხარებავამ თავით შეჩერება დაუპირა და კარში შეაგდო. სტუმართა მეკარემ შეცდომა იმით გამოასწორა, რომ ათიოდ წუთში მუშკუდიანს ურთულესი თავური აუღო და თავისიანებს თამაშის გადარჩენის სტიმული გაუორმაგა.

რამდენიმე გაცუდებული მომენტის შემდეგ „მერანი-ოლიმპმა“ ანგარიში გაქვითა. გოჩა ხოჯავამ, რომელიც საჯარიმოს სიახლოვეს დანიშნულ ჯარიმებს ბოლო დროს თერთმეტმეტრიანივით ურტყამს, თავისი შანსი გამოიყენა. თბილისელმა მასპინძელთა ცოცხალ კედელში გაჩენილი ბზარი დალანდა და ბურთიც იქ გააძვრინა. სომხიშვილმა „დილა“ ვერ გადაარჩინა.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ზედიზედ გაცუდებული საგოლე მომენტების შემდეგ საწადელი მაინც აისრულეს. ჯერ მიკუჩაძემ გაიტანა ახლოდან, მერე მესხის თავურის შემდეგ ძელსმოხვედრილ ბურთს დავითაშვილმა მიუსწრო. ნამატჩევს მასპინძლები მსაჯებს ანამუსებდნენ, ორჯერვე თამაშგარე იყოო, თუმც საბოლოოდ ამას ვიდეოფირის გარჩევის შემდეგ თუ დაადგენენ.

რაც შეეხება გორელთა მეკარე სომხიშვილის გაძევებას, დოგრაშვილის მტკიცებით, „დილას“ კარის დარაჯმა მას შეაგინა. თავად ფეხბურთელმა ნამატჩევს მსაჯს მოუბოდიშა, ნერვებმოშლილმა ჩემთვის შევიგინე, თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებიაო. სინამდვილეში რომელი ტყუოდა, ერთმა ღმერთმა იცის.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი-ოლიმპი | 8 | 4 | 2 | 2 | 15:4 | 26 |
| დილა | 8 | 4 | 2 | 2 | 10:5 | 25 |
| ბათუმი | 8 | 4 | 2 | 2 | 6:3 | 24 |
| მილანი | 8 | 3 | 3 | 2 | 6:4 | 19 |
| გორდა | 8 | 3 | 3 | 2 | 6:3 | 19 |
| *მეტალურგი* | *8* | *0* | *0* | *8* | *0:24* | *10* |

## საქართველოს 14 ჩემპიონატი — პირველი ლიგა — მეორე წრე — 27 ტური

ალაზანი 1:1 გურია

მერცხალი 3:1 სპარტაკი

მცხეთა 4:0 ჭაბუკთა ნაკრები

დინამო 2 0:0 თსუ

ლოკომოტივი 2 1:0 ცხინვალი

ქობულეთი 4:0 ლაზიკა

ხობი 3:1 სამტრედია

ივერია 1:2 სამგურალი

დინამო 2 1:2 ლაზიკა

*XXV ტურის გადადებული მატჩი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 27 | 17 | 7 | 3 | 55:23 | 58 |
| ლაზიკა | 27 | 17 | 7 | 3 | 56:27 | 58 |
| მცხეთა | 27 | 15 | 7 | 5 | 44:20 | 52 |
| სამგურალი | 27 | 13 | 7 | 7 | 36:25 | 46 |
| ცხინვალი | 27 | 13 | 6 | 8 | 35:23 | 45 |
| სპარტაკი | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 43 |
| ქობულეთი | 27 | 12 | 5 | 10 | 23:22 | 41 |
| დინამო 2 | 27 | 11 | 6 | 10 | 34:28 | 39 |
| ლოკომოტივი 2 | 27 | 10 | 9 | 8 | 28:22 | 39 |
| ივერია | 27 | 10 | 6 | 11 | 36:35 | 36 |
| თსუ | 27 | 9 | 8 | 10 | 21:26 | 35 |
| ჭაბუკთა ნაკრები | 27 | 8 | 4 | 15 | 36:44 | 28 |
| გურია | 27 | 7 | 7 | 13 | 28:41 | 28 |
| ალაზანი | 27 | 5 | 6 | 16 | 29:63 | 21 |
| ხობი | 27 | 5 | 5 | 17 | 16:40 | 20 |
| სამტრედია | 27 | 3 | 2 | 22 | 24:74 | 11 |




ალექსანდრე იაშვილს გოლი პირველმა ლევან ცქიტიშვილმა მიულოცა

# ასლანმა თბილისში შტურმი დაგეგმა

## კობიაშვილი ფრაიბურგს გოლით დაემშვიდობა

**ბუნდესლიგის** საგზურის „დასველებაც" ასეთი უნდა. ქუდში თავდაგულებულმა „ფრაიბურგმა" ლიგაში დარჩენისთვის მებრძოლი „კარლსრუეც" არ დაინდო და საკუთარი გულშემატკივრების თვალწინ გვემა. გამარჯვებაში დიდი წვლილი კობიაშვილ-იაშვილის ქართულმა დუეტმა შეიტანა. იაშვილმა მესამე საამსეზონო გოლით სწორედ კობიაშვილის პასით გახსნა ანგარიში. თავად ფრაიბურგელთა კაპიტანმა, რომელმაც ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და ალბათ საქართველოს ნაკრებსაც დაეხმარება ირლანდიაში, ვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გარდასახა გოლად. კობიაშვილი და ცქიტიშვილი მწვრთნელმა მატჩის მიწურულს შეცვალა, „იაშკამ" კი სრულად ითამაშა.

სამაგიეროდ, მეორე ბუნდესლიგის ბოლოსწინა ტურამდე ქეიფი და დროსტარება ძვირად დაუჯდა გიორგი დეკანოსიძის „ფიურტს". მიუნხენის „ბაიერთან" კლუბის ასწლოვანი იუბილის აღნიშვნა ვერ გამოდგა ეუგენ ჰახის გუნდისთვის იღბლიანი და ლამის ბუნდესლიგის კარის ზღურბლთან აყუდებული „ფიურტი" უსახელო და უმოტივაციო „ბურგჰაუზენმა" გამოაბრუნა უკან. დეკანოსიძეს არც ამჯერად უთამაშია. თუმც გიორგის თანამემამულეები, ალბათ, მომავალ სეზონშიც დაუმშვენებენ მხარს. მიხეილ საჯაიას „უნტერჰახინგმა" სამხრეთ რეგიონალლიგის 33-ე ტურში ფრედ 2:2 ითამაშა „ზიგენთან", რაც მეორე ბუნდესლიგის საგზურის მოპოვებისთვის საკმარისი გამოდგა. საჯაიას, სავარაუდოდ, მალე შეუერთდება ჩრდილოელი კოლეგა ხვიჩა შუბითიძეც. აუე-მ 2:0 სძლია ჰამბურგელ მოყვარულებს და მეორე ადგილზე წამოსკუპდა. პირველი გოლი მეტოქეს მე-10 წუთზე შუბითიძემ გაუტანა.

კობიაშვილისგან განსხვავებით, შოტლანდიაში შოთა არველაძემ ვერ გაიტანა პენალტი, თუმც „რეინჯერსის" ქართველმა თავდამსხმელმა საგოლე პასით გამოასწორა „დანაშაული". ახლა „ჩაფრები" კვლავაც ბურთების უკეთესი შეფარდებით უსწრებენ მოსისხლე „სელტიკს".

როგორც იქნა, გაიხარა მოსკოვის „ლოკომოტივმა". რკინიგზელებმა სტუმრად „ჩერნომორეცი" დაიბრიყვეს 5:2. სასიამოვნოა, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი მალხაზ ასათიანი შედეგიანად ჩაერთო თამაშში. იური სიომინმა ჩვენებური მეორე ტაიმში შეუშვა მოედანზე და მანაც ორჯერ გაატანინა თანაგუნდელებს. ასათიანის პასით ჯერ დმიტრი ლოსკოვმა იხეირა, მერე კი ნარვიკ სირხაევმა თავურით დალაშქრა მასპინძელთა კარი. რუსმა ჟურნალისტებმაც მალხაზს საკმაოდ მაღალი, 6,5 ქულა დაუწერეს, რაც მატჩის მონაწილეთა შორის მხოლოდ ლოსკოვისა და კოსტარიკელი უინსტონ პარკსის შეფასებებს ჩამორჩება.

გრაცის „შტურმის" საუეფასთასო ილუზიებმა, როგორც ჩანს, თბილისის ქუჩებში „გამეფებული" ჭვარტლიანი ჰაერი ჩაყლაპა. დავით მუჯირის გუნდმა ვერაფერი მოუხერხა შინ „ბრეგენცს" და თუ სასწაული არ მოხდა, ინტერტოტოს საგზურით დაკმაყოფილება მოუწევს. ასეთ შემთხვევაში კი, როგორც ამასწინდელ „სარბიელში" გაცნობეთ, „შტურმს" საქართველოში ჩამოსვლა მოუწევს. „ბრეგენცთან" მუჯირმა მეორე ტაიმი ითამაშა, თუმც პირველი ნახევრის ანგარიში, 1:1 არ შეცვლილა. მასპინძელთა ოცნებებს კი ცივი წყალი „ბრეგენცის" თურქმა ლეგიონერმა ასლანმა გადაასხა, რომელმაც ლამაზი გოლით დალაშქრა „შტურმის" კარი.

ორიოდ სიტყვა კვიპროსის თასის „ქართულ" ფინალზეც ვთქვათ. თემურ ქეცბაიას „ანართოსისმა" და ლევან მაღრაძის აელ-მა 120 უგოლო წუთი იბრძოლეს და გამარჯვებულიც მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში გაირკვა. გადამწყვეტი დარტყმა თემურ ქეცბაიამ შეასრულა და „ანართოსისიც" ქვეყნის თასს დაეუფლა.

ქართულ დუელში გადაწყდა მოლდოვის ჩემპიონის ბედიც. იანვარში „თანამეგობრობის თასის" მომგებმა „შერიფმა" სამშობლოშიც იძალა. ეს ამბავი ამ უქმეებზე „შერიფ" — „ზიმბრუს" ჯახში გაირკვა. მასპინძლებმა ვაჟა თარხნიშვილის კაპიტნობით არაფერი დაუთმეს ლევან გვაზავას „ზიმბრუს" და საჩემპიონო 1:0-თაც აჯობეს.

სამაგიეროდ, ალბათ, ჩემპიონატის ბოლომდე გაგრძელდება ქართველთა დაპირისპირება უკრაინაში. ჯამარაულ-დემეტრაძის „მეტალურგი" მოულოდნელად 1:4 დაამარცხა „დნიპროსთან", რითაც შალვა აფხაზავას „არსენალმა" ისარგებლა და კონკურენტს ადგილი გაუცვალა. სწორედ ამ მესამე საფეხურიდან ჩანს უეფას თასზე გამსვლელი და ჯამარაულ-დემეტრაძის სასურველი გზა.

**ძახა შალამბერიძე**




ლევან კობიაშვილი

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | ბოლონია 3:1 | 90 | | 27 | 0 | 3 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლსრუე 3:1 | 90 | 1 გოლი | 23 | 3 | 1 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლსრუე 3:1 | 63 | 1 გოლი, საგოლე პასი, შეცვალეს | 27 | 10 | 1 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | კარლსრუე 3:1 | 79 | შეცვალეს | 29 | 2 | 1 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | კარლსრუე 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ტრიერი 1:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ბურგჰაუზენი 2:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 5 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ჰამბურგი (მ) 2:0 | 89 | 1 გოლი, შეცვალეს | 25 | 6 | 2 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | შ | ზიგენი 2:2 | 30 | შეცვლაზ[illegible] მაშა, გააფრთხ. | 13 | 1 | 1 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰარტსი 2:0 | 90 | საგოლე პასი | 26 | 14 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | სელტიკი 2:6 | 0 | სათადარიგო | 20 | 0 | 8 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | სელტიკი 2:6 | 55 | შეცვალეს | 14 | 0 | 8 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ფეიენოორდი 1:3 | 0 | სათადარიგო | 8 | 1 | 1 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ბრეგენცი 1:1 | 45 | შეცვლაზე ითა[illegible]ა | 25 | 6 | 5 |
| **შვეიცარია. A/B ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | ს | კრინსი 3:3 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 4 | 3 |
| **შვეიცარია. B ჯგუფი** | | | | | | | | |
| ლევან ხომერიკი | ვილენი | ს | კონკორდია 0:4 | 25 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 3 | 4 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | ჩერნომორეცი 5:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 2 საგოლე პასი | 3 | 0 | 11 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | როტორი 1:1 | 90 | | 4 | 0 | 13 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | როტორი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | სპარტაკ-ალანია | შ | ცსკა 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 0 | 8 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სპარტაკ-ალანია | შ | ცსკა 0:1 | 90 | | 6 | 0 | 8 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | ს | დინამო 0:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 7 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | ს | დინამო 0:0 | 90 | | 2 | 0 | 7 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | ს | დინამო 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 7 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ჩერნომორეცი | შ | ლოკომოტივი 2:5 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 10 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | ზენიტი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | ს | ზენიტი 0:1 | 0 | ტრანსფერზეა | 0 | 0 | 9 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | შ | კრილია 3:0 | 90 | | 8 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | შ | სატურნი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | შ | შინიკი 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 16 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | ს | ლადა 0:0 | 90 | გააფრთხილეს | 6 | 0 | 9 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | ს | ლადა 0:0 | 90 | | 9 | 0 | 9 |
| ზურაბ არჩვაძე | ლოკომოტივი ჩ. | შ | მეტალურგი 2:1 | 90 | | 9 | 0 | 6 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი ჩ. | შ | მეტალურგი 2:1 | 66 | შეცვალეს | 10 | 3 | 6 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ტომი 2:0 | 65 | შეცვალეს | 8 | 0 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | ს | სოკოლი 0:0 | 90 | | 6 | 0 | 5 |
| თემურ გადელია | ბალტიკა | ს | სოკოლი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 5 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | დნიპრო 1:4 | 90 | | 17 | 3 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | დნიპრო 1:4 | 90 | | 10 | 6 | 4 |
| რევაზ გოცირიძე | კრივბასი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 0 | | 3 | 0 | 12 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 90 | | 17 | 0 | 12 |
| ლევან მიქაძე | კრივბასი | ს | მ. ზაპოროჟიე 1:2 | 90 | | 7 | 0 | 12 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ვორსკლა 3:2 | 90 | | 24 | 8 | 7 |
| შოთა ჩომახიძე | ტავრია | შ | ვორსკლა 3:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 3 | 1 | 7 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ვორსკლა 3:2 | 0 | სათადარიგო | 13 | 0 | 7 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | კრივბასი 2:1 | 90 | | 19 | 2 | 15 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | ობოლონი 2:0 | 0 | | 23 | 13 | 3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გია იმედაძე | ქოჯაელი | შ | ელაზიგი 1:3 | 30 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 18 |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | ელაზიგი 1:3 | 90 | | 13 | 0 | 18 |
| რევაზ ქემოკლიძე | ქოჯაელი | შ | ელაზიგი 1:3 | 90 | | 7 | 0 | 18 |
| პალერმო | 35 | 13 | 13 | 9 | 41:38 | 52 |
| ტერნანა | 35 | 13 | 12 | 10 | 41:34 | 51 |
| კალიარი | 35 | 13 | 11 | 11 | 43:44 | 50 |
| ლივორნო | 35 | 12 | 11 | 12 | 43:36 | 47 |
| ასკოლი | 35 | 13 | 8 | 14 | 43:44 | 47 |
| ბარი | 35 | 10 | 16 | 9 | 35:34 | 46 |
| ვერონა | 35 | 10 | 14 | 11 | 41:39 | 44 |
| მესინა | 35 | 10 | 13 | 12 | 47:50 | 43 |
| ნაპოლი | 35 | 9 | 14 | 12 | 39:46 | 41 |
| ვენეცია | 35 | 9 | 12 | 14 | 32:45 | 39 |
| კატანია | 35 | 10 | 8 | 17 | 40:53 | 38 |
| ჯენოა | 35 | 8 | 12 | 15 | 43:47 | 36 |
| კოზენცა | 35 | 9 | 6 | 20 | 26:46 | 33 |
| სალერნიტანა | 35 | 4 | 9 | 22 | 24:58 | 21 |



REUTERS კარდიფიდან

თასის ბედი რობერ პირესის (№7) ერთმა ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა

# დიდგულა წმინდანებს პირესმა ესროლა



REUTERS კარდიფიდან

ყველა უბედურებასთან ერთად, „საუთჰემპტონს“ მეკარე ანტი ნიემიც დაემტვრა

## ინგლისი

### ასოციაციის თასის ფინალი

**არსენალი 1:0 საუთჰემპტონი**

**1:0 პირესი (38)**

**არსენალი:** სიმენი, ლორენი, კიოუნი, ლუჟნი, ეშლი კოული, პირესი, პარლოუ, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, ანრი, ბერხკამპი (ვილტორდი 77)

**მწვრთნელი:** არსენ ვენგერი

**საუთჰემპტონი:** ნიემი (პ. ჯოუნსი 66), ბაირდი (ფ. ფერნანდესი 86), ლუნდეკვამი, მიხაელ სვენსონი, ბრიჯი, ტელფერი, ოკლი, ა. სვენსონი (ტესემი 75), მარსდენი, ორმეროდი, ბიტი

**მწვრთნელი:** გორდონ სტრაჩანი

**გაფრთხილება:** კიოუნი, ანრი, ბიტი, ტელფერი, მარსდენი, მ. სვენსონი

**მსაჯი:** ბარბერი

**73 726 მაყურებელი**

ლონდონის „არსენალი“ მაინც არ გამოეთხოვა სეზონს ტიტულის გარეშე, ასოციაციის თასის ფინალში 1:0 მოუგო „საუთჰემპტონს“ და ზედიზედ მეორედ მოიპოვა მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო ჯილდო.

კარდიფის „მილენიუმზე“ თამაშის ერთადერთი გოლი 38-ე წუთზე გაიტანა რობერ პირესმა, ვისაც შარშანდელი ფინალი „ჩელსის“ წინააღმდეგ, ტრავმის გამო გაუცდა. „საუთჰემპტონი“ მაგრად იდგა დაცვაში და ძალიან იშვიათად ახერხებდა შეტევას, მეორე ტაიმის შუაში კი მეკარე ანტი ნიემიც დაემტვრა. სამხრეთელთა მენეჯერმა გორდონ სტრაჩანმა ორი სურპრიზი შესთავაზა „არსენალს“: ერთი რომ პოლ ჯონსის ნაცვლად ახალმომჯობინებული ნიემი ჩააყენა კარში და მეორეც ის, რომ 21 წლის კრის ბერდი გამოიყვანა ძირითადში. ორივემ თავისებურად გადაარჩინა. „საუთჰემპტონი“ — ნიემიმ უკვე 30-ე წამზე აულო ტიერი ანრის, რომელიც თასის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლის გატანას აპირებდა, ბერდმა კი კარის ხაზიდან გამოიტანა დენის ბერხკამპის დარტყმული. ბერდმავე შეაწუხა პირველმა დევიდ სიმენი, როცა შორიდან დაურტყა.

გოლი კი „არსენალმა“ ჩვეულ სტილში, სწრაფ და გონებამახვილი კომბინაციით გაიტანა. ანრიმ ბერხკამპს გაუგორა, იმან ზედიზედ მესამე ფინალში მოთამაშე ფრედი ლიუნგბერგს, მაგრამ მისი დარტყმული ნიემიმ აილო და იქვე მყოფმა პირესმა ექვსიოდ მეტრიდან ჩასვა ბურთი კარში.

„მეთოფეებს“ მომენტები გვარიანად ჰქონდათ: მეორე ტაიმის დასაწყისშივე ნიემი ჯერ ლიუნგბერგს გადაუდგა წინ, მერე ანრის საფირმო დასრიალებული ბურთიც მოიგერია. ნიემის გვარიანად უჭირდა და მორიგი დარტყმისას კოჭიც ამოიბრუნა, 64-ე წუთზე ის ჯონსმა შეცვალა.

„საუთჰემპტონმა“ 73-ე წუთზე ჯო ტესემი შემოუშვა და მხოლოდ „მეთოფე“ ლორანის დამსახურებაა, რომ ტესემმა პირველი შეხებითვე არ გაათანაბრა ანგარიში. საერთოდ, „არსენალის“ დროულ მეკარე სიმენს „წმინდანები“ დიდად ვერ აწუხებდნენ, თუმც კი თამაშის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე მან ზედა კუთხიდან მოხსნა ბრეტ ორმონდის დარტყმული, წამატებულ დროში კი ეშლი კოულმა კარის ხაზიდან გამოაგდო ჯეიმს ბიტის თავური.

სამხრეთელებმა მაინც ვერ მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, თუმც სტრაჩანს არ ჩაუთვლია, რომ მისმა გუნდმა რაიმე ვერ შეასრულა: „ჩვენ იღბალი გვაკლდა. როცა ნაკლები გაქვს გამოცდილება, სისწრაფე და ღონე, უნდა გქონდეს რაღაც, შენი კოზირი. ჩვენი კოზირი დღეს დიდი გული იყო. წაგებით ვერ ისიამოვნებ, მაგრამ ღირსებას კი შეინარჩუნებ. თამაშის ვერცხლის ვარსკვლავი ტიერი ანრის დააბნიეს გულზე, თუმცა, მან იქვე განაცხადა, რომ მატჩის საუკეთესო მოთამაშე ვერ გახდებოდა, გვერდით ბერხკამპი რომ არ ყოლოდა.

„მეთოფე“ მცველმა, მარტინ კიოუნმა თქვა, რომ ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ გუნდმა შეხმატკბილებულად თამაში დიდი სიმტკიცის ფასად მოახდინა და ინანა, რომ მოედანზე არ იყო დისკვალიფიცირებული სოლ კემპბელი — „რასაც დღეს ვაკეთებდი, სოლს ვუძღვნი. მას ეკუთვნოდა ეს ფინალი“ — თქვა მცველმა, რომელიც თავად გამაყუჩებელი ნემსის წყალობით გავიდა მოედანზე.

„არსენალმა“ მაინც მოიგო ერთი ტიტული და მაინც ზეიმით დაასრულა სეზონი.

**ირაკლი გამყრელიძე**



REUTERS კარდიფიდან

დისკვალიფიცირებულმა სოლ კემპბელმა არსენ ვენგერზე არანაკლებ გაიხარა

# ვალი თასში არ მტევა

## საფრანგეთი

### ლიგის თასის ფინალი

**სოშო 1:4 მონაკო**

**0:1 ჟიული (57), 0:2 სკილაჩი (61), 0:3 პრსო (67), 0:4 ჟიული (78), 1:4 სავენიჩი (883)**

საფრანგეთში ლიგის თასის გათამაშება 1982 წლიდან დაიწყეს, მაგრამ მიზეზთა გამო ყოველწლიურად არ იმართებოდა, 1994-დან კი სეზონის ფორმატში სტაბილურად ჩაჯდა. „მონაკომ“ აქამდე ფინალში ორჯერ ითამაშა და ორჯერვე დამარცხდა. შარშანწინ „ლიონთან“ დამატებით დროში წააგო. „სოშო“ კი ფინალში არასოდეს გასულა. ეს მისი პირველი მცდელობა იყო.

„სტად დე ფრანსზე“ 80 ათასი გულშემატკივარი მოქუჩდა და ხუთი გოლიც ნახა. ფინალისტები ამ სეზონში ყოჩაღად გამოიყურებოდნენ. „მონაკოს“ საჩემპიონო, ხოლო „სოშოს“ სამეულში მოხვედრის შანსი კვლავაც აქვს. თან სოშოელთა მწვრთნელი გი ლაკომბი საფრანგეთში საუკეთესოდ ცნეს.

პირველი საგოლე მომენტი „მონაკოს“ კართან შეიქმნა. კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს ბრუნო პელრენმა უთავაზა.

საპასუხოდ პატრის ევრამ და შაბანი ნონდამ შეუტიეს. ევრამ თანაგუნდელი ხელსაყრელ პოზიციაში დატოვა, მაგრამ ნონდამ პასი ვერ შეირგო.

„მონაკომ“ თამაში უკეთესადააწყო და ტედი რიშერის კართან გოლის სუნი დადგა. ისევ შაბანი ნონდამ დააფრთხო მცველები. ოთხ მეურვესთან ჭაჭგურში იმარჯვა, კიდეც დაჰკრა ბურთს, მაგრამ რიშერმა მოიგერია. მონაკოელთა უწყვეტ იერიშებს მეტოქე გაჭირვებით უმკლავდებოდა. 27-ე წუთზე ლუდოვიკ ჟიულის დარტყმულს კარის ხაზზე ნიშა სავენიჩი გადაეღობა, მოგვიანებით კი ტედი რიშერმა კვლავ ჟიულის აჯობა.

შესვენების შემდეგ დიდიე დეშანის გუნდმა კიდევ უფრო მეტი ჟინით შეუტია და ტაიმის დაწყებიდან ათიოდ წუთში ანგარიში გახსნა. რაფაელ მარკესის პასით ლუდოვიკ ჟიულიმ ბრწყინვალე გოლი გაიტანა. გაშვებულმა გოლმა „სოშო“ არია, „მონაკომ“ კი გაილაღა და სხვაობა ოთხამდე გაზარდა.

სებასტიან სკილაჩიმ უზადო თავურით ტედი რიშერი მეორედ დაამწუხრა.

შაბანი ნონდას დარტყმული მეკარემ კი მოიგერია, მაგრამ ხორვატმა დადო პრსომ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო და „სოშო“ უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო.

მონაკოელებმა ესაც არ იკმარეს. თავის დაწყებული საქმე ლუდოვიკ ჟიულიმ დაასრულა და დუბლი მიითვალა. სოშოელებმა გული მატჩის მიწურულს გატანილი თერთმეტმეტრიანით მოიფხანეს, რომელიც ნიშა სავენიჩმა შეასრულა.

„მონაკო“ პირველად დაეუფლა ლიგის თასს, ხოლო დიდიე დეშანმა როგორც მწვრთნელმა, პირველი ჯილდო მიიღო.

ნამატჩევს სახელოვანი ფრანგი თავისი ბადლით ტრიბუნაზე ავიდა, სადაც კლუბის პრეზიდენტი ჟან ლუი კამპორა მას ხელგაშლილი შეეგება. ხვევნა-კოცნაში გართულ მწვრთნელს მოედანზე დაბრუნება გვარიანად დაუგვიანდა და თასიან გუნდთან ფოტოს გადაღებაც კი ვერ მოასწრო.

„მე მწვრთნელობა ჯილდოების მოსაგებად მსურდა და ვფიქრობ, რომ გუნდი კიდევ არაერთ წარმატებას მიაღწევს. „სოშო“ ღირსეული მეტოქეა, თუმც ამჯერად ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და გამარჯვებაც დავიმსახურეთ“.

ეს ამბავი გასულ შაბათს მოხდა, ხოლო კვირას „მონაკოს“ თავი ვალმა შეახსენა, რომელიც 87 მილიონ ევროს შეადგენს. ვალის გამსტუმრებელი არ ჩანს. გუნდს მეორე დივიზიონში დაქვეითებით ემუქრებიან და უკვე მწვრთნელის წასვლაზე ალაპარაკდნენ.

გამარჯვებული დიდიე დეშანს მიაჩნია, რომ „მონაკოდან“ მისი წასვლა-არწასვლის საკითხი ბოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

„მსურს, კონტრაქტის დასრულებამდე ვიმუშავო, მაგრამ თუ პრეზიდენტი ჩემს გაშვებას ინებებს, წავალ“ — თქვა მან.

ცნობისთვის, ზემოთაღნიშნული ხვევნა-კოცნის მიუხედავად, დიდიე დეშანსა და ჟან ლუი კამპორას შორის არცთუ ტკბილი ურთიერთობებია.

**ვაჟა ხუციშვილი**

### II დივიზიონი

**37-ე ტური:** ამიენი — მეცი 1:0; კაენი — კრეტეი 2:2; შატორუ — ვასკეალი 2:2; კლერმონი — სენტ ეტიენი 1:0; გრენობლი — ლე მანი 0:0; გენიონი — ისტრი 1:1; ლავალი — ნიორი 2:1; ნანსი — ბოვე 0:2; რეიმსი — ტულუზი 0:1; ვალანსი — ლორიანი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 37 | 20 | 9 | 8 | 49:24 | 69 |
| ლე მანი | 37 | 18 | 13 | 6 | 48:32 | 67 |
| მეცი | 37 | 18 | 10 | 9 | 48:29 | 64 |
| ლორიანი | 37 | 17 | 12 | 8 | 40:28 | 63 |
| შატორუ | 37 | 15 | 12 | 10 | 39:35 | 57 |
| კაენი | 37 | 12 | 15 | 10 | 45:40 | 51 |
| ლავალი | 37 | 14 | 7 | 16 | 40:42 | 49 |
| გენიონი | 37 | 12 | 13 | 12 | 36:38 | 49 |
| სენტ ეტიენი | 37 | 11 | 15 | 11 | 32:29 | 48 |
| ნიორი | 37 | 12 | 12 | 13 | 41:39 | 48 |
| ამიენი | 37 | 12 | 12 | 13 | 29:32 | 48 |
| გრენობლი | 37 | 11 | 14 | 12 | 38:28 | 47 |
| ვალანსი | 37 | 11 | 12 | 14 | 38:42 | 45 |
| კლერმონი | 37 | 12 | 9 | 16 | 37:48 | 45 |
| ნანსი | 37 | 10 | 13 | 14 | 30:45 | 43 |
| ისტრი | 37 | 10 | 13 | 14 | 32:52 | 43 |
| კრეტეი | 37 | 7 | 18 | 12 | 37:42 | 39 |
| ბოვე | 37 | 9 | 10 | 18 | 20:31 | 37 |
| ვასკეალი | 37 | 6 | 18 | 13 | 26:38 | 36 |
| რეიმსი | 37 | 6 | 17 | 14 | 31:42 | 35 |



გამარჯვებულმა დიდიე დეშანმა მილოცვა ემე ჟაკესგანაც მიიღო

# შოთა, არ ვიცი, რას გიზამ!

## კიდევაც მოვწევ, კიდევაც დავლევ, კიდევაც ვინერვიულებ

### შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXXVII ტური**

**ჰართსი 0:2 რეინჯერსი**

0:1 დე ბური (64), 0:2 ლოვენკრანდსი (73)
რეინჯერსი: შ. კლოსი, რიკსენი, კ. მური, ლ. ამორუზო, ნუმანი, ს. ჰიუზი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა (ლოვენკრანდსი 46), რ. დე ბური, მოლსი (ს. ტომპსონი 63), შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექს მაკლიში
16 632 მაყურებელი

**დანფერმლაინი 2:2 კილმარნოკი**

1:0 ნიკოლსონი (5), 2:0 მეისონი (11), 2:1 მაკდონალდი (26), 2:2 კ. ბოიდი (90)

**ლივინგსტონი 1:2 ჰიბერნიანი**

0:1, 0:2 ს. ბრაუნი (38, 69), 1:2 პასკვინელი (87)

**მოზერუელი 2:3 აბერდინი**

1:0 კლარკსონი (16), 1:1 ჰინდსი (19), 1:2 დელომი (28), 1:3 შეერინი (34), 2:3 მაკფადენი (84პ)

**პარტიკი 0:1 დანდი იუნ.**

0:1 პატერსონი (59)

„რეინჯერსმა" ლიდერობა დაიბრუნა, მაგრამ რაც ალექს მაკლიშმა ინერვიულა...

ზოგადად მწვრთნელმა უნდა ინერვიულოს, სიგარეტიც უნდა მოსწიოს და დალიოს, მაგრამ მაკლიშს ძალიან, ძალიან ბევრს ანერვიულებენ.

ორი ტურის წინ „დანდისთან" რეინჯერსელთა კაპიტანმა ბარი ფერგიუსონმა ორი პენალტი ვერ გაიტანა, „ჰართსთან" კი შოთა არველაძემ დაუფხაჭნა მაკლიშს ნერვები.

მაგრამ ბევრი რამ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს მაკლიშმა. მან გაზაფხულზე ისეთ ექსპერიმენტებს მიმართა, რომ „რეინჯერსმა" მტარვალ „სელტიკთან" საკმაოდ სოლიდური სხვაობა გაანიავა — შემადგენლობის გადახვაფერებამ „რეინჯერსს" მხოლოდ და მხოლოდ ავნო.

მაკლიშის წარუმატებელ ექსპერიმენტში მოჰყვა არველაძეც, რომელიც როგორც იქნა სასტარტოში გამოჩნდა „ჰართსთან".

ბრიტანული წყაროების ცნობით, შოთა ერთ-ერთი აქტიური იყო „რეინჯერსიდან". ქართველმა მიხაელ მოლსს კარგი პასი მიართვა პირველ ტაიმში, მაგრამ ჰოლანდიელმა ვერ იყოჩაღა ხელსაყრელი პოზიციიდან.

მეორე ტაიმში „რეინჯერსი" უფრო მძლავრად ამოძრავდა. 11-მეტრიანი „ჰართსის" ერთ-ერთმა მცველის ხელით თამაშის გამო დაინიშნა. არველაძეს კი ფინელმა მეკარემ ტეპი მოილანენმა აუღო — გოლკიპერმა ბრწყინვალედ მოიგერიაო, იტყობინებიან ბრიტანეთიდან.

არველაძემ სამი წუთის შემდეგ საგოლე პასით მოულბო გული მაკლიშს და „რეინჯერსის" ყველა გულშემატკივარს — მის ჩაწოდებულზე რონალდ დე ბურმა თავით გაიტანა ექვსი იარდიდან.

შემდეგ დე ბური თავად იქცა საგოლე პასის შემსრულებლად და პიტერ ლოვენკრანდსმაც სასიცოცხლო მნიშვნელობის გოლი შეაგდო — „რეინჯერსს" და „სელტიკს" გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობა ერთნაირი აქვთ, მაგრამ „ჩაფრებს" მეტი გოლი გაუტანიათ და „ოქროს მატჩი" მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ გუნდებს გატანილ-გაშვებული ბურთებიც ერთნაირი რაოდენობით დაუგროვდებათ.

„რა ხდებოდა ჩემს ტვინში, როცა არველაძემ პენალტი ვერ გაიტანა? მე მის დასჯას ვაპირებდი თამაშის შემდეგ! მაგრამ, როცა გოლი შევაგდეთ, გონებიდან ყოველივე წაილეკა. შოთამ თავისი ჩაწოდებით წილი დაიდო გოლში, დე ბურის თავური კი ღიღებული იყო" — უთქვამს ნამატჩევს მაკლიშს.

ბოლო ტურს „სელტიკი" და „რეინჯერსი" 25 მაისს ითამაშებენ — კელტები გასვლაზე „კილმარნოკთან", აიბროქსელები შინ „დანფერმლაინთან" — ორივე მატჩი ერთი და იგივე დროს, 18 საათზე დაიწყება.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 37 | 30 | 4 | 3 | 95:27 | 94 |
| სელტიკი | 37 | 30 | 4 | 3 | 94:26 | 94 |
| ჰართსი | 37 | 17 | 9 | 11 | 56:51 | 60 |
| კილმარნოკი | 37 | 16 | 9 | 12 | 47:52 | 57 |
| დანფერმლაინი | 37 | 13 | 7 | 17 | 53:65 | 46 |
| დანდი | 37 | 10 | 14 | 13 | 50:59 | 44 |
| ჰიბერნიანი | 37 | 15 | 6 | 16 | 54:61 | 51 |
| აბერდინი | 37 | 12 | 10 | 15 | 39:54 | 46 |
| ლივინგსტონი | 37 | 9 | 8 | 20 | 46:56 | 35 |
| პარტიკ თისლი | 37 | 7 | 11 | 19 | 34:56 | 32 |
| დანდი იუნ. | 37 | 7 | 11 | 19 | 35:66 | 32 |
| მოზერუელი | 37 | 6 | 7 | 24 | 39:69 | 25 |

### ბელგია

**იუპილერლიგა XXXIII ტური**

**ანტვერპენი 2:0 მეხელენი**

1:0 სერჟანი (20), 2:0 იატარა (85)

**ანდერლეხტი 1:0 ლუვიე**

1:0 იესტროვიჩი (19)

**შარლერუა 0:0 ბევერენი**

**ლიერსი 2:1 ლოკერენი**

1:0 მაცკევიჩი (34), 1:1 ბალდვინსონი (82), 2:1 დე რუკი (90)

**მუსკრონი 0:4 ვესტერლო**

0:1, 0:2, 0:3, 0:4 დელენი (7, 12, 58, 85)

**გენკი 2:2 სენტ ტრუიდენი**

0:1 ვანგეელი (48), 1:1, 2:1 სონკი (68, 76), 2:2 ვანგეილი (88)

**გენტი 0:5 სტანდარდი**

0:1 გუსენსი (15), 0:2 ვალემი (18), 0:3 ვალასიაკი (19), 0:4 ვანდოორენი (42), 0:5 გუსენსი (67)

**ბრიუგე 1:1 ბეერსხოტი**

1:0 ს. მარტენსი (5), 1:1 კვანსაჰი (7)

**მონსი 5:0 ლომელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 33 | 26 | 4 | 3 | 99:34 | 82 |
| ანდერლეხტი | 33 | 25 | 2 | 6 | 79:29 | 77 |
| ლოკერენი | 33 | 19 | 5 | 9 | 74:53 | 62 |
| სენტ ტრუიდენი | 33 | 17 | 8 | 8 | 66:45 | 59 |
| ლიერსი | 33 | 17 | 8 | 8 | 50:42 | 59 |
| გენკი | 33 | 17 | 7 | 9 | 77:53 | 58 |
| სტანდარდი | 33 | 15 | 8 | 10 | 56:37 | 53 |
| გენტი | 33 | 17 | 2 | 14 | 56:53 | 53 |
| მონსი | 33 | 14 | 4 | 15 | 47:47 | 46 |
| მუსკრონი | 33 | 12 | 5 | 16 | 51:66 | 41 |
| ვესტერლო | 33 | 12 | 3 | 18 | 40:52 | 39 |
| ბევერენი | 33 | 11 | 3 | 19 | 49:69 | 36 |
| ბეერსხოტი | 33 | 9 | 7 | 17 | 52:57 | 34 |
| ანტვერპენი | 33 | 9 | 7 | 17 | 43:58 | 34 |
| ლუვიე | 33 | 8 | 9 | 16 | 35:44 | 33 |
| შარლერუა | 33 | 7 | 9 | 17 | 44:66 | 30 |
| ლომელი | 33 | 8 | 3 | 22 | 33:78 | 27 |
| მეხელენი | 33 | 4 | 6 | 23 | 21:89 | 18 |

### პორტუგალია

**I ლიგა. XXXII ტური**

**ბეირა მარი 5:0 ჟილ ვისენტე**

1:0, 2:0 რიკარდუ სოუზა (7პ, 28), 3:0, 4:0 ფეიუ ფერი (42, 53), 5:0 კარლინუში (68)

**აკადემიკა 2:2 ფეირეირა**

1:0 მაკანგა (24), 1:1 სერჟინიუ (37), 1:2 ლ. რიბეირუ (39), 2:2 ჟოზე (45)

**სანტა კლარა 2:0 მორეირენსე**

1:0 ენრიკეში (45), 2:0 ს. ბენტუ (74)

**ბენფიკა 1:1 ბოავიშტა**

0:1 პედროსა (34), 1:1 შოკოტა (39)

**ლეირია 1:4 ბელენენსეში**

0:1 ბეზერა (1), 0:2 მაურო (31), 0:3 ლობო (63), 1:3 მ. კუნია (70), 1:4 ანშოე (71)

**პორტუ 3:2 ვარზიმი**

1:0 იანკაუსკასი (12), 2:0 ნუნუ კაპუშუ (17), 3:0 პაულინიუ სანტუში (40), 3:1, 3:2 ჟოზე ანტონიუ (63, 74)

**ნასიონალი 1:1 სპორტინგი**

0:1 კვარესმა (61), 1:1 ლუზადა (85)

**მარიტიმუ 1:0 გიმარაეში**

1:0 ალან სილვა (90)

**სეტუბალი — ბრაგა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 26 | 4 | 2 | 70:25 | 82 |
| ბენფიკა | 32 | 21 | 6 | 5 | 68:27 | 69 |
| სპორტინგი | 32 | 17 | 8 | 7 | 49:32 | 59 |
| გიმარაეში | 32 | 14 | 8 | 10 | 47:40 | 50 |
| ლეირია | 32 | 12 | 9 | 11 | 44:44 | 45 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 13 | 5 | 14 | 40:47 | 44 |
| ფერეირა | 32 | 11 | 9 | 12 | 37:44 | 42 |
| ბელენენსეში | 32 | 11 | 8 | 13 | 46:47 | 41 |
| მარიტიმუ | 32 | 12 | 5 | 15 | 33:46 | 41 |
| ბოავიშტა | 32 | 9 | 13 | 10 | 31:30 | 40 |
| ნასიონალი | 32 | 9 | 12 | 11 | 40:45 | 39 |
| ბრაგა | 31 | 8 | 12 | 11 | 31:43 | 36 |
| მორეირენსე | 32 | 8 | 11 | 13 | 38:43 | 35 |
| ვარზიმი | 32 | 10 | 5 | 17 | 36:46 | 35 |
| სანტა კლარა | 32 | 8 | 10 | 14 | 36:49 | 34 |
| ბეირა მარი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:50 | 33 |
| აკადემიკა | 32 | 6 | 13 | 13 | 34:48 | 31 |
| სეტუბალი | 31 | 5 | 11 | 15 | 33:47 | 26 |

**II ლიგა**

32-ე ტური: ფელგეირაში — მადეირა 3:0; ავეში — ალვერკა 0:2; კოვილია — ნავალი 0:0; ოვაირენსე — შავეში 2:0; რიუ ავე — ფარენსე 1:0; მარკუ — სალგეირუში 2:1; ლეცა — ამადორა 1:1; პენაფიელი — ლამაში 4:0; პორტიმონენსე — მაია 0:1

### რუსეთი

**პრემიერლიგა. IX ტური**

**სპარტაკ-ალანია 0:1 ცსკა**

0:1 პოპოვი (21)
სპარტაკ-ალანია: გაბულოვი, პაგაევი, ვანდერლეი, აშურმატოვი (ხინჩაგოვი 14), გულიევი, გ. ბაზაევი, იევიჩი, მენთეშაშვილი, ქარზიევი, აშვეთია, მიხოლაპსი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

**ჩერნომორეცი 2:5 ლოკომოტივი**

0:1 იზმაილოვი (27), 1:1 პრიზეტკო (47), 1:2, 1:3 ლოსკოვი (57პ, 60), 1:4 პარკსი (67), 1:5 სირხაევი (85), 2:5 ტერიოხინი (90)

**დინამო 0:0 რუბინი**

**როტორი 1:1 სპარტაკი**

1:0 ტრიფონოვი (30), 1:1 პავლიუჩენკო (79)
სპარტაკი: ზუევი, აბრამიძე, ვაშჩუკი, ლუიზაო, კოვტუნი, პავლენკო, დ. სმირნოვი, ტიტოვი, კალინიჩენკო, კებე, პავლიუჩენკო

**ზენიტი 1:0 ტორპედო**

1:0 გარტიგი (62)

**ტორპედო-მეტალურგი 3:0 კრილია სოვეტოვი**

1:0, 2:0, 3:0 მონარიოვი (43პ, 52, 66)
ტორპედო-მეტალურგი: ნოვოსადოვი, ხლესტოვი, შუსტიკოვი, რიზვიჩი, კორიტკო, კომადინა, რეხვიაშვილი, ბელეცკი, ლეონოვი, კატიჩი, მონარიოვი

**ურალანი 0:2 შინიკი**

0:1 ხომუხა (7), 0:2 კუშევი (46)

**როსტოვი 1:2 სატურნი**

0:1 ბისტროვი (4), 0:2 მედვედევი (56), 1:2 კანიენდა (73)

შარშან, ჩემპიონატის 28-ე ტურში, ვლადიკავკაზს ცსკა ესტუმრა. მაშინდელი „ალანიას" კარში ვლადიმირ გაბულოვი იდგა. მატჩის მეათე წუთზე საჯარიმოდან შორს გამოვიდა და სანამ ადგილზე დაბრუნდებოდა, სოლომატინმა 35 მეტრიდან გოლი გაუტანა.

გასულ შაბათს ვლადიკავკაზში თითქმის იგივე განმეორდა. ისევ გაბულოვი და უფრო შორი მანძილიდან გაშვებული გოლი. შარშანდელი ამბავი შეხვედრის მეცხრე წუთზე მოხდა, ახლა კი მეათეზე. ამჯერად მასპინძელთა მეკარეს პოპოვმა გაუტანა. გაბულოვი კარიდან გამოსვლისას შეცდა და არმიელთა ნახევრიდან დენის ევსიკოვის დარტყმული ბურთი პოპოვის ძალისხმევით მასპინძელთა კარში აღმოჩნდა.

ტყუპი გოლების გარდა საინტერესო კიდევ ისაა, რომ ვლადიმირ გაბულოვი ცსკა-ს მეკარეა და ვლადიკავკაზშია განათხოვრებული. მოკლედ, იგი ორჯერ შეცდა არმიელთა სასარგებლოდ.

კინკილა გოლმა ვალერი გაზაევის გუნდს მეშვიდე გამარჯვება მოუტანა და ცხრილის სათავეშიც გააბატონა.

„სპარტაკ ალანიას" გასათანაბრებლად დრო თავზესაყრელი ჰქონდა. მეტოქის კართან მომენტებიც შექმნეს და შეხვედრის მიწურულს მიხოლაპს რომ ცსკა-ს მცველთა შეცდომით ესარგებლა, მოსკოველებს ქულას მაინც აალეტნენ.

ვალერი გაზაევმა მატჩის შემდეგ მოწინააღმდეგე შეაქო. რაზეც რევაზ ძოძუაშვილმა მოუგო: „თუ ვალერი გეორგიევიჩი ამტკიცებს, რომ „სპარტაკ-ალანია" კარგი გუნდია, მაშინ ცხრილში ადგილების გაცვლას ვთავაზობ".

მატჩამდე ვლადიკავკაზში, უკვე მერამდენედ, სტადიონზე ცრუ ასაფეთქებელი ნივთიერება იპოვეს, რომელიც სტადიონის დირექტორის თქმით, სათამაშო უფრო იყო.

„ედუარდ სტრელცოვის" სახელობის სტადიონზე მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგმა" სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა. სერგეი ალეინიკოვი მთავარი მწვრთნელის პოსტზე დიდმა რუსმა, ვალენტინ ივანოვმა შეცვალა და გუნდმაც სამარის „კრილია სოვეტოვი" დაამიწა. რომან მონარიოვმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

მატჩზე საინტერესო ამბები სტუმრისთვის განკუთვნილ ლოჟაში ხდებოდა, სადაც ვინმე კი არა, თვით... რიო ფერდინანდი მოკალათებულიყო. ინგლისელი „კრილია-სოვეტოვის" პრეზიდენტ გერმან ტკაჩენკოს საგანგებო მიწვევით სტუმრობდა სამარას. ფერდინანდს და ერთ-ერთ სამარელ ლეგიონერს საერთო აგენტი ჰყავთ. ეს მანჩესტერელის სტუმრობის ერთ-ერთი მიზეზია, დანარჩენზე კი ვერაფერს მოგახსენებთ.

# გაბულოვის ოინები

## ფერდინანდმა რეხვიაშვილი ნახა




რიო ფერდინანდი რუსეთში ჩაიყვანეს და ხალხს დაანახეს

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 9 | 7 | 1 | 1 | 18:8 | 22 |
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 19:8 | 17 |
| სატურნი | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 15 |
| როსტოვი | 9 | 4 | 3 | 2 | 9:8 | 15 |
| ზენიტი | 9 | 4 | 3 | 2 | 8:11 | 15 |
| კრილია | 9 | 3 | 4 | 2 | 13:8 | 13 |
| რუბინი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 13 |
| ალანია | 9 | 4 | 0 | 5 | 8:15 | 12 |
| ჩერნომორეცი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:10 | 11 |
| ტორპედო | 9 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| როტორი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:9 | 10 |
| სპარტაკი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:13 | 10 |
| ლოკომოტივი | 9 | 3 | 1 | 5 | 13:16 | 10 |
| შინიკი | 9 | 1 | 6 | 2 | 9:10 | 9 |
| ტ. მეტალურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:9 | 6 |
| ურალანი | 9 | 0 | 3 | 6 | 4:15 | 3 |

### ჰოლანდია

**I დივიზიონი XXXII ტური**

**ფეიენოორდი 3:1 პსვ ეინდჰოვენი**

1:0, 2:0 ვან ჰოიდონკი (34პ, 45), 2:1 კეჟმანი (53), 3:1 ვან ჰოიდონკი (66პ)

**აიაქსი 7:1 გრააფსხაპი**

0:1 ვან დერ ჰაარი (3), 1:1, 2:1 ვან დერ ვაარტი (16, 45), 3:1 სნეიდერი (63), 4:1 გალაშეკი (67პ), 5:1 პიენაარი (75), 6:1 მაქსველი (76), 7:1 ბუხარი (89)

**ვალვაიკი 2:3 ბრედა**

0:1 ენგელაარი (50), 0:2 ბუსაბუნი (60), 1:2, 2:2 ჰუგენდორპი (73პ, 76პ), 2:3 დიბა (88)

**გრონინგენი 1:0 ალკმაარი**

1:0 სალმონი (86)

**როზენდალი 0:2 ნაიმეგენი**

0:1 ზონეველდი (45), 0:2 ველაერტი (65)

**ტილბურგი 2:1 ექსელსიორი**

0:1 ბუტაპარი (44), 1:1 სეკტიუ (63), 2:1 ჯ. ქუინი (89)

**ზვოლე 0:1 ჰერენვენი**

0:1 სელაკოვიჩი (36)

**ვიტესი 0:1 ტვენტე**

0:1 ჰუვინგი (80)

**უტრეხტი 4:4 როდა**

1:0 გლუშკევიჩი (2), 2:0 კუიტი (8პ), 2:1 კრისტიანო (19), 3:1 გლუშკევიჩი (41), 3:2 ანასტასიუ (59), 3:3 ცვაანცეიკი (63ს.კ.), 4:3 ჩაიატი (81), 4:4 ანასტასიუ (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 32 | 25 | 5 | 2 | 85:20 | 80 |
| აიაქსი | 32 | 24 | 5 | 3 | 91:31 | 77 |
| ფეიენოორდი | 32 | 24 | 4 | 4 | 85:37 | 76 |
| როდა | 32 | 13 | 8 | 11 | 56:52 | 47 |
| ნაიმეგენი | 32 | 13 | 8 | 11 | 40:40 | 47 |
| ბრედა | 32 | 11 | 13 | 8 | 36:30 | 46 |
| ვალვაიკი | 32 | 14 | 4 | 14 | 45:49 | 46 |
| ჰერენვენი | 32 | 12 | 8 | 12 | 55:52 | 44 |
| უტრეხტი | 32 | 11 | 11 | 10 | 46:45 | 44 |
| ტილბურგი | 32 | 11 | 8 | 13 | 47:48 | 41 |
| ტვენტე | 32 | 10 | 11 | 11 | 33:40 | 41 |
| ალკმაარი | 32 | 11 | 8 | 13 | 46:64 | 41 |
| როზენდალი | 32 | 10 | 6 | 16 | 32:46 | 36 |
| გრონინგენი | 32 | 7 | 10 | 15 | 28:43 | 31 |
| ვიტესი | 32 | 7 | 8 | 17 | 31:47 | 29 |
| *ზვოლე* | 32 | 7 | 7 | 18 | 29:61 | 28 |
| *ექსელსიორი* | 32 | 5 | 7 | 20 | 33:64 | 22 |
| გრააფსხაპი | 32 | 5 | 5 | 22 | 33:82 | 20 |

**II დივიზიონი**

32-ე ტური: მაასტრიხტი — ჰაარლემი 4:1; კამბური — ემენი 1:2; დენ ჰააგი — ვეენდამი 0:0; ეინდჰოვენი — დენ ბოსხი 0:0; სიტარდი — ვენლო 2:3; ჰერაკლესი — ვოლენდამი 2:2; სპარტა — დორდრეხტი 3:0; ტელსტარი — იგლსი 0:1; ოსი — ჰელმონდი 2:3

### თურქეთი

32-ე ტური: ბურსა — ალთაი 2:1; დიარბაქირი — მალათია 1:1; გალათასარაი — ანკარაგიუჯიუ 3:0; სამსუნი — ადანა 0:2; ქოჯაელი — ელაზიგი 1:3; ისთანბული — ფენერბაჰჩე 2:0; გიოზთეფე — დენიზლი 2:3; გენჩლერი — ბეშიქთაში 1:2; ტრაბზონი — გაზიანთეფი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშიქთაში | 32 | 24 | 7 | 1 | 58:18 | 79 |
| გალათასარაი | 32 | 23 | 5 | 4 | 59:25 | 74 |
| გენჩლერი | 32 | 19 | 8 | 5 | 74:36 | 65 |
| გაზიანთეფი | 32 | 15 | 9 | 8 | 56:37 | 54 |
| ტრაბზონი | 32 | 13 | 11 | 8 | 43:30 | 50 |
| ფენერბაჰჩე | 32 | 13 | 10 | 9 | 54:41 | 49 |
| ანკარაგიუჯიუ | 32 | 15 | 3 | 14 | 41:37 | 48 |
| მალათია | 32 | 12 | 10 | 10 | 50:44 | 46 |
| ისთანბული | 32 | 12 | 6 | 14 | 42:46 | 42 |
| დენიზლი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:40 | 38 |
| სამსუნი | 32 | 10 | 8 | 14 | 38:54 | 38 |
| ადანა | 32 | 9 | 9 | 14 | 40:51 | 36 |
| დიარბაქირი | 32 | 9 | 8 | 15 | 33:45 | 35 |
| ბურსა | 32 | 8 | 8 | 16 | 37:59 | 32 |
| ელაზიგსფორი | 32 | 8 | 7 | 17 | 37:58 | 31 |
| ალთაი | 32 | 8 | 7 | 17 | 43:69 | 31 |
| გიოზთეფე | 32 | 5 | 10 | 17 | 30:52 | 25 |
| ქოჯაელი | 32 | 6 | 4 | 22 | 31:59 | 22 |

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა XXXIV ტური**

**შტურმი 1:1 ბრეგენცი**

1:0 დაგი (39), 1:1 ასლანი (43)
შტურმი: ვებერი, ნოიკირხნერი, შტრაფნერი, მ. ჰაასი, ბრჟეჩეკი, კორსოში, ზალმუტერი, დაგი, ჩ. ამოა, მასუდი (ჰ. რაუტერი 67), ვეტლი (დ. მუჟირი 46)
მწვრთნელი: ფრანკო ფოდა
ავსტრია — რაპიდი 0:0; ადმირა — პაშინგი 1:0; კერნტენი — ზალცბურგი 0:3; რიდი — გრაცერი 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 34 | 21 | 6 | 7 | 59:26 | 69 |
| გრაცერი | 34 | 14 | 11 | 9 | 51:35 | 53 |
| ზალცბურგი | 34 | 14 | 10 | 10 | 45:43 | 52 |
| პაშინგი | 34 | 13 | 9 | 12 | 41:34 | 48 |
| შტურმი | 34 | 14 | 5 | 15 | 49:59 | 47 |
| რაპიდი | 34 | 11 | 12 | 11 | 37:37 | 45 |
| კერნტენი | 34 | 11 | 8 | 15 | 43:53 | 41 |
| რიდი | 34 | 10 | 8 | 16 | 41:51 | 38 |
| ადმირა | 34 | 9 | 11 | 14 | 31:45 | 38 |
| ბრეგენცი | 34 | 7 | 12 | 15 | 44:58 | 33 |

# ასერეხე

## UEFA CUP ტომატმოსხმული ფინალი




„სელტიკის" გულშემატკივრები დროულად აიბარგნენ და სევილიისკენ ავტობუსებით გასწიეს






ფინალი კეჩუპების სიმღერით გაიხსნება

ხვალ სევილიაში, „ესტადიო ოლიმპიკოზე", უეფას თასის მორიგ ფინალს ისტორია დაისაკუთრებს. ეს სტადიონი მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამასპინძლოდ აგეს, რომელიც 1999 წელს სევილიაში გაიმართა. „ესტადიო ოლიმპიკო" არც „ბეტისისაა" და არც „სევილიისა". მათ თავთავისი სტადიონები აქვთ — „ბენიტო ვილიამარინი" და „სანჩეს პისხუანი".

უეფამ მაისის დასაწყისშივე ოფიციალურად განაცხადა, რომ 52 ათასივე ბილეთი გაყიდულია. აქედან შოტლანდიელებს და პორტუგალიელებს თანაბრად, თითოეულს 15 700 ცალი გაუნაწილეს.

განაწილება ერთია და მსურველი უამრავი. ესპანეთის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელმა ხუან იგნასიო სოიდომ თქვა, „სელტიკის" უბილეთო ფანთა ჯარს, დაახლოებით 20 ათას ქომაგს, მხოლოდ გლაზგოდან ველით. მთლიანობაში შოტლანდიელთა რიცხვმა, შესაძლოა, 50 ათასს უწიოს, რადგან ნანატრი ფინალის სანახავად და საქომაგოდ ავსტრალიიდან და ამერიკიდანაც კი შეიძლება ჩავიდნენ. დიდი ბრიტანეთის საელჩომ ესპანეთში სევილიელებს დახმარება აღუთქვა.

ეს ამბავი რომ შეიტყვეს, მასპინძლებმა დამატებით 1 000 პოლიციელი და ეროვნული გვარდიის 300 სამხედრო მოითხოვეს.

„ჩვენ გვსურს, რომ ფინალი დღესასწაულად ვაქციოთ, რომელიც მთელ მსოფლიოს დაამახსოვრდება" — დაიქადნა ხუან იგნასიო სოიდომ.

სევილიაში თვით როდ სტიუარტიც გაემგზავრა. იგი „სელტიკის" თავგადაკლული ფანი ყოფილა და, მისი ერთ-ერთი მეგობრის თქმით, ეს სიამოვნება მომღერალს 70 ათასი ევრო დაუჯდა. „შეუძლებელია, რომ როდმა „სელტიკის" თამაში გააცდინოს. ამ ფინალს 30 წელიწადი ელოდა" — დასძინა მეგობარმა.

მატჩის დაწყებამდე სტადიონზე „ლას კეტჩუპი" ცოცხლად გაახალისებს მაყურებლებს. ჰილარი, ლოლა და ლუსია ესპანეთში ცნობილი გიტარისტის, ტომატეს შვილები არიან. „პამიდვრის ტრიო" კორდობაშია დაბადებული, რომელიც სევილიიდან ორიოდ საათის სავალ მანძილზეა.

ამის გარდა ბევრი სხვა გასართობიც იქნება. მეტოქე გუნდების ფანები ერთურთს მაგიდის ფეხბურთსა და თერთმეტმეტრიანების შესრულებაში შეეჯიბრებიან.

**გაგა ხუციშვილი**



როდ სტიუარტი ამ ფინალს 30 წელი ელოდა

Portugal 2003
CAMPEONATO EUROPA SUB-17
VISEU/VILA REAL - 7 A 17 MAIO
UEFA UNDER-17 Championship.

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი

### ფინალური ეტაპი

**მატჩი III ადგილისთვის**

**ავსტრია 1:0 ინგლისი**

1:0 პირკერი (62)

**ფინალი**

**პორტუგალია 2:1 ესპანეთი**

1:0 მარსიო სოუზა (22), 1:1 დ. სანჩესი (41), 2:1 მარსიო სოუზა (46)




ბაოკ-ს საბერძნეთის თასი ეგებ ამ შავმა მამლებმა მოაგებინეს

REUTERS

### დანია

**სუპერლიგა. XXVIII ტური**

ოლბორგი — ბრონდბიუ 1:2; ესბიერგი — კიოგე 6:1; მიდტიულანდი — ფარუმი 2:0; კოპენჰაგენი — ვიბორგი 2:3; ორჰუსი — სილკებორგი 2:1; აკადემისკი — ოდენსე 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 28 | 14 | 9 | 5 | 53:29 | 51 |
| კოპენჰაგენი | 28 | 14 | 8 | 6 | 43:29 | 50 |
| ფარუმი | 28 | 14 | 2 | 12 | 41:49 | 44 |
| მიდტიულანდი | 28 | 11 | 9 | 8 | 42:35 | 42 |
| ესბიერგი | 28 | 10 | 9 | 9 | 57:52 | 39 |
| ოდენსე | 28 | 9 | 11 | 8 | 45:40 | 38 |
| ვიბორგი | 28 | 9 | 9 | 10 | 47:47 | 36 |
| აკადემისკი | 28 | 8 | 10 | 10 | 36:39 | 34 |
| ორჰუსი | 28 | 9 | 7 | 12 | 40:50 | 34 |
| ოლბორგი | 28 | 10 | 3 | 15 | 36:44 | 33 |
| სილკებორგი | 28 | 8 | 8 | 12 | 42:42 | 32 |
| კიოგე | 28 | 8 | 3 | 17 | 40:66 | 27 |

### შვედეთი

8მ-6 ტური: იურგორდენი — სუნდსვალი 2:0; მალმიო — ენკიოპინგი 4:0. ჰამარბი — გიოტებორგი, ლანდსკრონა — აიკ და ოირგრიტე — ორებრო წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 7 | 6 | 0 | 1 | 19:1 | 18 |
| ჰამარბი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:4 | 14 |
| აიკ | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 13 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| ორებრო | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| მალმიო | 7 | 2 | 3 | 2 | 11:9 | 9 |
| ლანდსკრონა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 9 |
| ჰალმსტადი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| ისტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| სუნდსვალი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| გიოტებორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:6 | 5 |
| ოირგრიტე | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | 5 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |
| ენკიოპინგი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:19 | 1 |

### პოლონეთი

26-ე ტური: კატოვიცე — ვისლა 1:0; ვიძევი — ლეგია 1:3; ოდრა — ოსტროვეცი 2:1; პოლონია — გურნიკი 1:1; გარბარნია — ზაგლებე 1:2; ამიცა — რუხი 2:1; პლოცკი — პოგონი 2:1; ლეხი — გროცლინი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 26 | 17 | 5 | 4 | 64:26 | 56 |
| კატოვიცე | 26 | 17 | 2 | 7 | 32:18 | 53 |
| ლეგია | 26 | 15 | 7 | 4 | 50:24 | 52 |
| გროცლინი | 26 | 15 | 7 | 4 | 45:25 | 52 |
| ოდრა | 26 | 16 | 4 | 6 | 51:35 | 52 |
| გურნიკი | 26 | 10 | 9 | 7 | 44:28 | 39 |
| ამიცა | 26 | 10 | 8 | 8 | 37:30 | 38 |
| პოლონია | 26 | 10 | 6 | 10 | 32:38 | 36 |
| ლეხი | 26 | 7 | 10 | 9 | 33:32 | 31 |
| პლოცკი | 26 | 8 | 7 | 11 | 25:31 | 31 |
| ზაგლებე | 26 | 7 | 7 | 12 | 29:34 | 28 |
| ვიძევი | 26 | 7 | 7 | 12 | 25:37 | 28 |
| გარბანია | 26 | 7 | 6 | 13 | 37:47 | 27 |
| რუხი | 26 | 6 | 9 | 11 | 21:33 | 27 |
| ოსტროვეცი | 26 | 4 | 3 | 19 | 19:54 | 15 |
| პოგონი | 26 | 2 | 3 | 21 | 14:66 | 9 |

### ფინეთი

8ე-2 ტური: ჰაკა — ჰიკ 0:1; მიუპა — ჯაზი 4:0; კუოპიო — ლაჰტი 1:1; ჰაამენლინა — იარო 1:1; ტურკუ — კტპ 4:2; იოკერიტი — ინტერი 4:0; ალიანსი — ტამპერე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიუპა | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ალიანსი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ტურკუ | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| იოკერიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ჰამენლინა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ჰიკ | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჰაკა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| იარო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კუოპიო | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ლაჰტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჯაზი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| კტპ | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| ტამპერე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| ინტერი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

### შვეიცარია

**A ჯგუფი. XI ტური**

**გრასჰოპერი 2:2 ბაზელი**

1:0 პეტრიჩი (16), 2:0 შპიხერი (58), 2:1 ჰ. იაკინი (65), 2:2 ხიმენესი (67)

**სერვეტი 1:0 ვილი**

1:0 კადერი (65)

**ქსამაქსი 2:0 იანგ ბოისი**

1:0 სიმო (50), 2:0 ლეანდრო (77)

**თუნი 1:2 ციურიხი**

1:0 სტრელერი (23), 1:1 გერერო (75), 1:2 კეინტინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 11 | 7 | 4 | 0 | 28:10 | 37 |
| ბაზელი | 11 | 7 | 2 | 2 | 27:17 | 32 |
| სერვეტი | 11 | 4 | 4 | 3 | 13:15 | 23 |
| იანგ ბოისი | 11 | 5 | 1 | 5 | 15:20 | 24 |
| ქსამაქსი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 21 |
| ციურიხი | 11 | 3 | 2 | 6 | 14:18 | 19 |
| ვილი | 11 | 2 | 2 | 7 | 14:23 | 15 |
| თუნი | 11 | 2 | 2 | 7 | 12:22 | 16 |

**A/B ჯგუფი. XI ტური**

სენტ გალენი — ვადუცი 1:0; დელემონი — სიონი 2:1; კრიენსი — ლუცერნი 3:3

**B ჯგუფი. XI ტური**

კონკორდია — ვოლენი 4:0; ვინტერთური — შაფჰაუზენი 2:3; ივერდონი — ლოზანა 3:0; ბელინცონა — ბადენი 0:2

### საბერძნეთი

**თასის ფინალი**

**არისი 0:1 პაოკ**

0:1 გეორგიადისი (24 წუთი)

### უკრაინა

25-ე ტური: არსენალი — ობოლონი 2:0; დინამო — კარპატი 2:0; შახტარი — ვოლინი 1:3; მეტალისტი — ოლიქსანდრია 0:1; დნიპრო — მ. დონეცკი 4:1; ტავრია — ვორსკლა 3:2; მ. ზაპოროჟიე — კრივბასი 2:1; ჩერნომორეცი — ილიჩევეცი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 25 | 19 | 3 | 3 | 48:19 | 60 |
| დინამო | 25 | 18 | 4 | 3 | 52:16 | 58 |
| მ. დონეცკი | 25 | 15 | 4 | 6 | 37:25 | 49 |
| არსენალი | 25 | 14 | 7 | 4 | 45:18 | 49 |
| დნიპრო | 25 | 14 | 5 | 6 | 35:19 | 47 |
| ვოლინი | 25 | 12 | 4 | 9 | 31:32 | 40 |
| ტავრია | 25 | 9 | 4 | 12 | 29:37 | 31 |
| კარპატი | 25 | 8 | 6 | 11 | 24:29 | 30 |
| ილიჩევეცი | 25 | 7 | 7 | 11 | 29:33 | 28 |
| ჩერნომორეცი | 25 | 8 | 3 | 14 | 22:34 | 27 |
| ოლიქსანდრია | 25 | 6 | 9 | 10 | 22:36 | 27 |
| ვორსკლა | 25 | 7 | 4 | 14 | 20:37 | 25 |
| კრივბასი | 25 | 6 | 7 | 12 | 19:27 | 25 |
| ობოლონი | 25 | 5 | 7 | 13 | 22:34 | 22 |
| მ. ზაპოროჟიე | 25 | 5 | 6 | 14 | 18:34 | 21 |
| მეტალისტი | 25 | 5 | 4 | 16 | 13:34 | 19 |

### ნორვეგია

8ე-6 ტური: ბრინი — მოლდე 3:0; ტრომსიო — ბოდიო გლიმტი 3:3; ბრანი — ოდ გრენლანდი 3:0; რუსენბორგი — სოგნდალი 3:1; ალესუნდი — ვიკინგი 1:1; სტაბეკი — ლინი 1:3; ვოლერენგა — ლილესტრიომი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 6 | 6 | 0 | 0 | 16:2 | 18 |
| სოგნდალი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 13 |
| ოდ გრენლანდი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:10 | 12 |
| ვიკინგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| ბოდიო გლიმტი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:7 | 11 |
| სტაბეკი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ლინი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| ლილესტრიომი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | 7 |
| ბრინი | 6 | 2 | 0 | 4 | 9:11 | 6 |
| მოლდე | 6 | 1 | 2 | 3 | 6:8 | 5 |
| ვოლერენგა | 6 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| ტრომსიო | 6 | 1 | 2 | 3 | 11:15 | 5 |
| ბრანი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:14 | 5 |
| ალესუნდი | 6 | 0 | 2 | 4 | 8:13 | 2 |

### ჩეხეთი

28-ე ტური: ჟიჟკოვი — ბრნო 1:1; პრჟიბრამი — სინოტი 0:0; იაბლონეცი — ტეპლიცე 0:0; ბლშანი — სლავია 1:2; ჰ. კრალოვე — ბანიკი 1:1; სიგმა — ბუდეიოვიცე 4:2; ზლინი — ლიბერეცი 1:1. ბოჰემიანსი — სპარტა ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 27 | 19 | 4 | 4 | 46:14 | 61 |
| სლავია | 28 | 16 | 10 | 2 | 60:19 | 58 |
| ჟიჟკოვი | 28 | 14 | 7 | 7 | 37:29 | 49 |
| ლიბერეცი | 28 | 13 | 7 | 8 | 39:34 | 46 |
| ტეპლიცე | 28 | 12 | 6 | 10 | 32:31 | 42 |
| ბანიკი | 28 | 12 | 5 | 11 | 38:37 | 41 |
| ზლინი | 28 | 10 | 9 | 9 | 32:35 | 39 |
| პრჟიბრამი | 28 | 9 | 10 | 9 | 32:28 | 37 |
| ბრნო | 28 | 9 | 9 | 10 | 29:27 | 36 |
| სინოტი | 28 | 10 | 6 | 12 | 35:37 | 36 |
| სიგმა | 28 | 8 | 9 | 11 | 28:30 | 33 |
| იაბლონეცი | 28 | 6 | 13 | 9 | 25:36 | 31 |
| ბუდეიოვიცე | 28 | 8 | 5 | 15 | 34:51 | 29 |
| ბლშანი | 28 | 7 | 6 | 15 | 26:36 | 27 |
| ბოჰემიანსი | 27 | 4 | 9 | 14 | 32:51 | 21 |
| ჰ. კრალოვე | 28 | 2 | 13 | 13 | 20:50 | 19 |

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1,03 | 7,0 | 15,0 | 1 | 1 | 4,77 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,55 | 3,3 | 5,6 | 1,05 | 1,21 | 2,07 |
| 18.30 | 003 | შალკე-ბაიერნი | 2,0 | 3,4 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,59 |
| 18.30 | 004 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 18.30 | 005 | არმინია-ჰანოვერი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-ჰანზა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1,15 | 1,28 | 3,21 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-ბოხუმი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 010 | ტრიერი-უნიონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 011 | კარლსრუე-ფიურტი | 2,3 | 3,3 | 2,3 | 1,35 | 1,15 | 1,35 |
| 18.00 | 012 | დუისბურგი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 013 | ალემანია-სტ.პაული | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 18.00 | 014 | აინტრახტი-როიტლინგენი | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 18.00 | 015 | ლიუბეკი-ვალდჰოფი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 016 | ბრაუნშვაიგი-მაინცი | 2,5 | 3,4 | 2,15 | 1,44 | 1,15 | 1,31 |
| 18.00 | 017 | ბურგჰაუზენი-კიოლნი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 019 | უერდინგენი-ესენი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 22.00 | 020 | ლევერკუზენი(მ)-ჰამბურგი(მ) | 2,35 | 3,4 | 2,05 | 1,38 | 1,09 | 1,27 |
| 22.30 | 021 | კიოლნი(მ)-დინამო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 022 | აუე-კილი | 1,15 | 3,5 | 6,0 | 1 | 1 | 2,21 |
| 17.00 | 023 | პადერბორნი-ვატენშაიდი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 17.00 | 024 | ვერდერი(მ)-მიუნსტერი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| 17.00 | 025 | ოსნაბრიუკი-ფერლი | 1,4 | 4,0 | 6,0 | 1,03 | 1,13 | 2,4 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 028 | ერფურტი-ოფენბახი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 029 | საარბრიუკენი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 030 | შვაინფურტი-ვეენი | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 17.30 | 031 | აუგსბურგი-კაიზერსლაუტენი(მ) | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 17.30 | 032 | ფიულენდორფი-ბაიერნი(მ) | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 036 | ზიგენი-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,4 | 3,2 | 1,19 | 1,17 | 1,64 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი (კარდიფში)** | | | | | | |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 037 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი (კარდიფში)** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 038 | კარდიფი-ქუინს პარკი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. პლეი-ოფი. ფინალი (კარდიფში)** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 039 | ბორნმუთი-ლინკოლნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 072 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 073 | ბილბაო-რასინგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 24.00 | 074 | სელტა-დეპორტივო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 00.30 | 075 | ვალენსია-რეალი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 076 | ესპანიოლი-ალავესი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 077 | მალიორკა-სევილია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 21.00 | 078 | რაიო-ოსასუნა | 2,45 | 3,2 | 2,25 | 1,38 | 1,17 | 1,32 |
| 22.00 | 079 | უელვა-ბარსელონა | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.00 | 080 | ბეტისი-ვალიადოლიდი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 24.00 | 081 | მალაგა-სოსიედადი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 082 | ალბასეტე-კომპოსტელა | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 21.30 | 083 | ლას პალმასი-ლევანტე | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 084 | სერესი-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 15.00 | 085 | ლეგანესი-ოვიედო | 2,1 | 2,8 | 3,4 | 1,19 | 1,29 | 1,53 |
| 21.00 | 086 | ბადახოსი-ტერასა | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 21.00 | 087 | სალამანკა-ტენერიფე | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| 21.00 | 088 | ეხიდო-ფეროლი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 21.00 | 089 | ელჩე-ალმერია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 21.00 | 090 | კორდობა-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 21.00 | 091 | ნუმანსია-ეიბარი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 22.00 | 092 | სპორტინგი-ხეტაფე | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 093 | ლილი-აიაჩო | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.30 | 094 | სტრასბური-ოსერი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.30 | 095 | ნიცა-ბორდო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.30 | 096 | ლე ავრი-ლანსი | 1,65 | 3,2 | 4,0 | 1,08 | 1,16 | 1,77 |
| 23.30 | 097 | მონპელიე-ლიონი | 3,4 | 3,0 | 2,15 | 1,59 | 1,31 | 1,25 |
| 23.30 | 098 | გენგამი-მონაკო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.30 | 099 | ტრუა-ნანტი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 23.30 | 100 | პსჟ-რენი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.30 | 101 | მარსელი-სედანი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.30 | 102 | ბასტია-სოშო | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 119 | ბოვე-შატორუ | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.30 | 120 | კრეტეი-ნანსი | 1,5 | 3,2 | 5,0 | 1,02 | 1,15 | 1,95 |
| 23.30 | 121 | ლე მანი-ამიენი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 122 | ლორიანი-რეიმსი | 1,4 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,43 |
| 23.30 | 123 | მეცი-გენიონი | 1,3 | 3,6 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,57 |
| 23.30 | 124 | ნიორი-კლერმონი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.30 | 125 | სტ.ეტიენი-გრენობლი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.30 | 126 | ტულუზი-ისტრი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.30 | 127 | ვალანსი-კაენი | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 23.30 | 128 | ვასკეალი-ლავალი | 1,7 | 2,9 | 4,0 | 1,07 | 1,19 | 1,68 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 153 | ექსელსიორი-ვიტესი | 2,7 | 3,4 | 2,3 | 1,5 | 1,24 | 1,37 |
| 17.30 | 154 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 17.30 | 155 | ბრედა-ალკმაარი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 17.30 | 156 | ნაიმეგენი-ზვოლე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 17.30 | 157 | ტვენტე-აიაქსი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 17.30 | 158 | როდა-ვალვაიკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.30 | 159 | ჰერენვენი-როზენდალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 17.30 | 160 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 17.30 | 161 | პსვ-უტრეხტი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 174 | გენკი-გენტი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 23.00 | 175 | ვესტერლო-შარლერუა | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 23.00 | 176 | ლუვიე-მონსი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 178 | სტანდარდი-ანტვერპენი | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2,62 |
| 18.00 | 179 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 18.00 | 180 | ბეერსხოტი-ლიერსი | 2,9 | 3,4 | 2,2 | 1,56 | 1,25 | 1,33 |
| 18.00 | 181 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი.** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 183 | ჰეუსდენი-ვარეგემი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 184 | ეუპენი-დენდერლუ | 1,65 | 3,4 | 5,6 | 1,11 | 1,27 | 2,11 |
| | | **პოლონეთი. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 206 | ოდრა-ამიკა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 207 | ზაგლებე-რუხი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 208 | ვისლა-პოლონია | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 22.00 | 209 | გროცლინი-გარბარნია | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.00 | 210 | ლეგია-ლეხი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 211 | გურნიკი-პლოცკი | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,23 | 1,21 | 1,57 |
| | | **თურქეთი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 225 | მალათია-გიოზთეფე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 226 | გენჩლერბირლიგი-სამსუნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 227 | დენიზლი-ტრაბზონი | 2,5 | 3,3 | 2,15 | 1,42 | 1,15 | 1,3 |
| 17.30 | 228 | ფენერბაჰჩე-დიარბაქირი | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 17.30 | 229 | ელაზიგი-ისთანბული | 1,45 | 4,0 | 4,4 | 1,06 | 1,09 | 2,09 |
| 17.30 | 230 | ადანა-ბურსა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 231 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 19.00 | 232 | გაზიანთეფი-ანკარაგიუჯიუ | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 234 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 19.00 | 235 | ჰიბერნიანი-პარტიკი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 236 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 237 | პართსი-დანდი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 19.00 | 238 | კილმარნოკი-სელტიკი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 19.00 | 239 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,05 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **დანია. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 241 | ფარუმი-ესბიერგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 242 | კოოგე-ორჰუსი | 2,8 | 3,4 | 2,25 | 1,53 | 1,24 | 1,35 |
| 18.00 | 243 | ოდენსე-ვიბორგი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.00 | 244 | სილკებორგი-ოლბორგი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 20.35 | 245 | ბრიონდბიუ-აკადემისკი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | | **ავსტრია. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 246 | ბრეგენცი-რიდი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.30 | 247 | გრაცერი-ზალცბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 248 | პაშინგი-აუსტრია | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 18.30 | 249 | რაპიდი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 250 | ადმირა-შტურმი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 251 | ვილი-ქსამაქსი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 22.30 | 252 | იანგ ბოისი-სერვეტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.15 | 253 | ციურიხი-გრასჰოპერი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 23.15 | 254 | ბაზელი-თუნი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 261 | სიონი-კრინსი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 22.30 | 262 | ვადუცი-აარაუ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.30 | 263 | ლუცერნი-დელემონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 269 | ბადენი-ვინტერთური | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.30 | 270 | ვოლენი-ივერდონი | 2,0 | 3,3 | 3,0 | 1,24 | 1,2 | 1,57 |
| 22.30 | 271 | შაფჰაუზენი-ბელინცონა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **შვედეთი. VII ტური** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 290 | ჰელსინგბორგი- ჰალმსტადი | 1,75 | 3,4 | 4,4 | 1,15 | 1,25 | 1,91 |
| | | **ნორვეგია. VII ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 300 | ოდ გრენლანდი-რიუსენბორგი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 301 | ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 21.00 | 302 | მოლდე-ტრომსიო | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 21.00 | 303 | სოგნდალი-ალესუნდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 304 | სოგნდალი-ალესუნდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 305 | ლინი-ვიკინგი | 2,4 | 3,4 | 2,5 | 1,4 | 1,22 | 1,44 |
| 23.15 | 306 | ლილესტრიომი-ბრანი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 307 | სტაბეკი-ბრინი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| | | **ფინეთი. III ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 308 | იოკერიტი-ჰაკი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 309 | ალიანსი-ინტერი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 310 | ჰაკა-კტპ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 311 | ჰაკა-კტპ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.30 | 312 | კუოპიო-ჰჯკ | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 20.30 | 313 | ლაჰტი-ტამპერე | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 314 | მიუპა-ჰაამეენლინა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 315 | მიუპა-ჰაამეენლინა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 316 | ტურკუ-იარო | 1,95 | 3,2 | 2,6 | 1,21 | 1,11 | 1,43 |
| | | **იტალია. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **I მატჩი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 327 | რომა-მილანი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **რუსეთი. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 329 | ლადა-სპარტაკი | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 19.00 | 330 | ანჟი-როსტსელმაში | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 331 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| | | **უეფას თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 332 | სელტიკი-პორტუ | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **თასის აღება.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 3001 | სელტიკი-პორტუ | 1,95 | 1,65 | | | | |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1/4 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 05.10 | 333 | რივერ პლეიტი-ამერიკა | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 03.10 | 334 | კობრელოა-ბოკა ხუნიორსი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 05.40 | 335 | კრუს ასული-სანტოსი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 05.10 | 336 | გრემიო-ინდეპენდიენტე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 02.00 | 338 | არგენტინა-ურუგვაი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 339 | ნორვეგია-ფინეთი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 22.30 | 340 | ს.აფრიკა-ინგლისი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 341 | ა.შ.შ.-უელსი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **კალათბურთი. იტალია.** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 603 | რომა-ნაპოლი | 1,2 | 12,0 | 3,5 | 1,09 | 1 | 2,7 |
| 23.30 | 604 | კანტუ-სკიპერი | 1,4 | 12,0 | 2,4 | 1,25 | 1 | 2 |
| 23.30 | 605 | სიენა-ვარეზე | 1,1 | 12,0 | 4,0 | 1 | 1 | 3 |
| 23.30 | 606 | ბენეტონი-კალაბრია | 1,1 | 12,0 | 4,0 | 1 | 1 | 3 |
| | | **კალათბურთი. NBA.** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 05.00 | 630 | დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 1,75 | 12,0 | 1,85 | 1,52 | 1 | 1,6 |

| **1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო** | | | **1/1** | **1/X** | **1/2** | **X/1** | **X/X** | **X/2** | **2/1** | **2/X** | **2/2** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | სელტიკი-პორტუ | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 მაისი** | | | |
| 23.45 | 2501 | სელტიკი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

**21 მაისი**

23.45 2401 სელტიკი-პორტუ ------------------- 1,8 ------------------------------ 2,0

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

------------------------------------ კი ------------------------------------ არა

**21 მაისი**

23.45 2301 სელტიკი-პორტუ ------------------- 1,65 ------------------------------ 1,95

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

**21 მაისი**

23.45 2201 სელტიკი-პორტუ ------------------- 1,75 ------------------------------ 1,85

**I ტაიმის შედეგი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | I ტაიმის შედეგი | | | | | | |
| | | 21 მაისი | | | | | | |
| 23.45 | 2001 | სელტიკი-პორტუ | 2,9 | 2,0 | 3,5 | 1,18 | 1,58 | 1,27 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, Iª კორპუსი

ბიურომ შემდეგზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე

# დგუშურ-მუშური ამბავი
## ბეჯით ხალხზე ფინალიც ალალია


REUTERS ფილადელფიიდან

ალენ აივერსონი ფინალსმიღმა დარჩა

16 მაისი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 4:2 ფილადელფია**

**ფილადელფია 89:93 დეტროიტი**

ძირითადი დრო 81:81

**ფილადელფია: სნოუ (9), აივერსონი (38), ვან ჰორნი (2 ქულა, 10 მოხსნა), ტომასი (12 ქულა, 14 მოხსნა), კოულმენი (14 ქულა, 11 მოხსნა); მაკკი (5), ბაკნერი (5), სკინერი (4), უილიამსი**
**დეტროიტი: ბილაფსი (28), ჰამილტონი (19), კარი, რობინსონი (3), ვოლესი (10 ქულა, 18 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 3 დაფარება); უილიამსონი (17), პრინსი (14), ეტკინსი (2), ოქური**

„დეტროიტ პისტონზმა“ „ფილადელფია სიქსერზი“ სერიის მეექვსე შეხვედრაში ფილადელფიაშივე დაამარცხა და დააგროვა რა საბოლოო გამარჯვებისთვის საჭირო 4 მოგება, გავიდა აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში. სერიოზული წარმატებაა გუნდისთვის, რომელიც ყოველწლიური საპლეიოფო იერარქიის ამ საფეხურზე 1991 წლის შემდეგ არ აღოცებულა და თან, ვერც შემადგენლობით აღემატება იხედაც სუსტი აქეთ კონფერენციის საშუალო კლუბებს, ვთქვათ, „მილუოკის“ (პირველი წრიდან გავარდა), „ატლანტას“ (პლეი ოფში ვერ მოხვდა) და ბევრ სხვას. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, „დეტროიტი“ აღმოსავლეთის ფინალშია და ამისთვის „დგუშების“ ქომაგთა არმია მწვრთნელ რიკ კარლაილის ემადლიერება.

ცხადია, მწვრთნელი მოედანზე ვერ გავა და ბურთს ვერც ჩააგდებს და ვერც მოხსნის. კალათბურთის მწვრთნელები არ თამაშობენ და ამიტომაც ხშირად ნაკლებ ჩანან, ვიდრე იმსახურებენ, მაგრამ კარლაილის დამსახურება არ იჩქმალება. ყველამ იცის, რომ ესაა დღევანდელ ნბა-ში ყველაზე ბეჯითი მწვრთნელი (ისე კი ჰგავს ბეჯით სტუდენტს). კარლაილმა შექმნა ისეთი გარემო, რომელშიც, ვთქვათ, ახალბედა ტაიშონ პრინსიც კი მეტოქეთა რისხვად ქცეული.

პრინსმა „ფილადელფიასთან“ ბოლო შეხვედრაშიც იყოჩაღა, 14 ქულა მიითვალა. შეხვედრის მთავარი გმირი კი თითქმის ვარსკვლავი ჩონსი ბილაფსი გახლავთ, რომელმაც დამატებით დროში 3 სამქულიანი ჩაუგდო ალენ აივერსონის „სიქსერზს“ და ფინალსმიღმა დატოვა. თავად აივერსონმა ბევრი იბორგა. აგერ, ხედავთ, 38 ქულაც მიითვალა, მაგრამ რა, უმნიშვნელოვანეს ეპიზოდში ვერ იხსნა თავისი გუნდი. მეოთხე მეოთხედის ბოლო წამებზე, 81:81 ანგარიშზე, მან ვერ გაბედა სროლის შესრულება, ვერც მცველად აკიდებული, ტანით მასზე ზორბა და მოუქნელი ტაიშონ პრინსი ჩამოიშორა და ხელიდან გაუშვა რეალური შანსი. აივერსონი დამატებით დროში კი აკეთებდა საქმეს — „ფილადელფიის“ 8 საოვერტაიმო ქულიდან 6 მისია, მაგრამ იმ დღეს გამარჯვების ბურთებს აივერსონი კი არა, ჩონსი ბილაფსი ყრიდა.

17 მაისი

### დასავლეთი

**დალასი 4:3 საკრამენტო**

**დალასი 112:99 საკრამენტო**

**დალასი: ნეში (18 ქულა, 13 პასი, 7 მოხსნა), ფინლი (18), ბელი (12), ნოვიცკი (30 ქულა, 19 მოხსნა), ლაფრენცი (2); ვან ექსელი (23), უილიამსი (5), ბრედლი (4), ნახერა**
**საკრამენტო: ბიბი (25), კრისტი (4), სტოიაკოვიჩი (17), თურქოღლუ (6), დივაცი (11); ჯ. ჯექსონი (24), ბ. ჯექსონი (12), კლერკი**

ახლა კი, როცა „დალასმა“ გაიარა ძლიერი მეტოქე და მიაღწია რაღაცას — კარგად გაცვეთილი ფრაზა რომ გამოვიყენოთ, რაღაც დაამტკიცა — უკვე შეიძლება ამ გუნდზე სხვა ინტონაციით საუბარი. ბოლოს და ბოლოს ტეხასელებმა მოიგეს პრინციპული თამაში, პრინციპულ მეტოქესთან და გავიდნენ პლეი ოფის იმ ეტაპზე, სადაც თამაშის ბედნიერება მათ მხოლოდ ერთხელ, 1988 წელს ჰქონდათ.

„საკრამენტო კინგზს“ კვლავ აკლდა მთავარი ბომბდამშენი კრის ვებერი, „დალასმა“ კი ბოლოს და ბოლოს დაიჯერა, რომ შეუძლია „მეფეთა“ დამარცხება, საკუთარი თამაში ითამაშა და საწადელიც აისრულა. ტეხასელებმა კვლავ ჩააფლავეს დაცვა, თუმც სანაქებოდ გამართეს შეტევა და თავიანთ მექულეთა პოტენციალის ბოლომდე გამოყენება მოახერხეს. დირკ ნოვიცკიმ სერიის საუკეთესო თამაში ჩაატარა, ისევ ბევრი ქულა გააკეთა ნიკ ვან ექსელმა და საქმეც აეწყო. რაც მთავარია, „მავერიკსმა“ გაუძლო შტურმს, რომელიც „კინგზმა“ ბოლო მეოთხედში მოუწყო.

კონფერენციის ფინალი ოთხ მოგებამდე


REUTERS დეტროიტიდან

დეტროიტელი მონსტრი ბენ ვოლესი ასე აფრთხობს მეტოქეებს

18 მაისი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 0:1 ნიუ ჯერსი**

**დეტროიტი 74:76 ნიუ ჯერსი**

**დეტროიტი: ბილაფსი (11), ჰამილტონი (24), კარი, რობინსონი (6), ვოლესი (6 ქულა, 21 მოხსნა); ოქური (12), უილიამსონი (8), პრინსი (7), ეტკინსი**
**ნიუ ჯერსი: კიდი (15), კიტლზი (9), ჯეფერსონი (11), მარტინი (16), კოლინზი (4); ჰარისი (8), როჯერსი (7), უილიამსი (4), ჯონსონი**

რიკ კარლაილის ბიჭებმა ახლაც ყველაფერი კარგად შეასრულეს, დაცვაში გამაგრდნენ და ჰამილტონის, ბილაფსისა და პრინსის დრიბლინგის მოიმედენი კონტრშეტევებზე ჩაუსაფრდნენ „ნეთსს“. შეტევაში არც „ნიუ ჯერსი“ გაიხსნა ბოლომდე და ამიტომაც თამაში ჩაკეტილი და სანახავად უგემური გამოდგა.

„დეტროიტს“ პირველ მატჩში მაინც მარცხი ერგო. ავტოქალაქელები იმ მოთამაშემ დაღუპა, რომლის დარიც მათ არ მოეძევებათ. შესაძლოა, ამჟამად „დეტროიტი“ და „ნიუ ჯერსი“ თანაბარი გუნდები იყვნენ, მაგრამ მეორეს ჰყავს დიდი მოთამაშე ჯეისონ კიდი და ამ ბიჭმა მას გამარჯვება მოუტანა. მატჩის დამთავრებამდე 1,4 წამით ადრე, 74:74 ანგარიშზე, 193-სანტიმეტრიანმა კიდმა „დეტროიტის“ მთელი პერიმეტრის მორბენის შემდეგ სროლა მაინც მოასწრო და თუმც მის წინ მასპინძელთა თურქი ცენტრი, 211-სანტიმეტრიანი მეჰმედ ოქური ასვეტილიყო თავისი ვეება ხელებით, მაინც მოახერხა ჩაგდება.

„უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ მეტოქის მოედანზე, თან საწყისი თამაშის მოგება შესანიშნავად მოქმედებს რაგინდარა სიძლიერის გუნდის განწყობაზე“ — „ნიუ ჯერსის“ თავკაცი ბაირონ სკოტი ოფტიმისტურად განაწყო დეტროიტში გამარჯვებამ.

**კოტე ყორშია**

ჰოკეი

NHL სტენლის თასი. კონფერენციის ფინალი ოთხ მოგებამდე

# ანაჰაიმის მშრალი ყინული
## სენატორები ეშმაკმა დალახვრა


REUTERS ისტ რეზერფორდიდან

ოტავას მეკარემ პატრიკ ლალიმმა ამ შაიბის გარდა კიდევ სამი გაუშვა

16 მაისი

### დასავლეთი

**მინესოტა 0:4 ანაჰაიმი**

**ანაჰაიმი 2:1 მინესოტა** *1:1 1:0 0:0*

**0:1 ბრიუნეტი (5), 1:1 ოუთსი (9), 2:1 ოუთსი (30)**

რა არ უნახავს და გადახდენია მინესოტას თავკაც ჟაკ ლემერს, მაგრამ ასეთი საცოდაობა არასოდეს შემთხვევია. როგორც მოთამაშემ, უდიდეს წარმატებას მიაღწია — ათჯერ მოიპოვა თასი. მერე სამწვრთნელო კარიერაც ჩინებულად აეწყო — 1995 წელს ნიუ ჯერსისთან ერთად სენსაცია მოახდინა, პლეი ოფის ფინალში დეტროიტს სძლია. ცხადია, არეთი წარუმატებლობაც იგემა, მაგრამ სერია პირწმინდად მაინც არასდროს წაუგია...

...2003 წლის პლეი ოფიც ძალიან უცნაური გამოდგა, თასის 86-წლიან ისტორიას მსგავსი არ ახსოვს — ანაჰაიმმა მინესოტასთან ოთხ თამაშში მხოლოდ ერთი შაიბა გაუშვა. და კიდევ — ბოლო 16 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ ფინალში გასვლისთვის გუნდს მხოლოდ 14 თამაში (12 მოგება, 2 წაგება) ეყო.

ბოლო შეხვედრაში მინესოტა ძალიან შეეცადა, ჟან სებასტიან ჟიგერს გოლიც გაუტანა და პრობლემებიც ბლომად შეუქმნა. მინესოტას წინა თამაშებიც რომ ასე ჩაეტარებინა, ვინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. მასპინძლები 41 წლის ადამ ოუთსმა იხსნა. ოუთსი უფრო პლეიმეიკერული თვისებებით ცნობილა, მაგრამ სიტუაცია ამჟამად გოლებს მოითხოვდა და მანაც ივაჟკაცა, ორი შაიბა გაიტანა. ახლა აღარავის აინტერესებს, რომ ორჯერვე შაიბა რიკოშეტით გავიდა, ანაჰაიმი ფინალშია, პირველად თავის ისტორიაში.

### აღმოსავლეთი

**ოტავა 1:3 ნიუ ჯერსი**

**ნიუ ჯერსი 5:2 ოტავა** *1:1 1:1 3:0*

**1:0 მარშალი (8), 1:1 რახუნეკი (20), 1:2 ვარადა (28), 2:2 პანდოლფო (37), 3:2 ფრიზენი (41), 4:2 ელიაში (45), 5:2 მედენი (48)**

ნიუ ჯერსი ტრადიციებს არ ღალატობს — საკუთარ ყინულზე ყოველთვის გამარჯვებულია, თან თუ პირველ გოლს გაიტანს, თამაშს აუცილებლად იგებს. „ეშმაკებმა“ კვლავ იმარჯვეს, თუმც ამჯერად დიდი ჯაფა დაადგათ. თამაშის პირველ 30 წუთში ოტავა გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ორ შაიბაზე მეტიც უნდა გაეტანა, მაგრამ ვერ გაიტანა, მერე კი გაუშვა კიდეც. ნიუ ჯერსიმ მეორე პერიოდის მიწურულს გაათანაბრა, თან ეს ჯეი პანდოლფომ მოახერხა, კაცმა, რომელიც გოლის გატანას ყველაზე მეტად იმსახურებდა — მას წინა მატჩში აშკარა გოლი არ ჩაუთვალეს. ამჯერად კი ფორვარდმა ისე დაარტყა, მეტოქის კარში შეარჭო შაიბა. ბოლო მესამედის დასაწყისში ნიუ ჯერსი წინ გავიდა, ჯეფ ფრიზენმა ოტაველთა კაპიტან დანიელ ალფრედსონის სულელური ჯარიმა გამოიყენა და ცხადი გახდა, რომ თამაშს ნიუ ჯერსი მოიგებდა და სერიაში სოლიდურ უპირატესობას მოიპოვებდა. ეს უპირატესობა კი უკვე იმხელაა, ყველა ანაჰაიმ — ნიუ ჯერსის ფინალზე ალაპარაკდა.

**სამველ ღარიბიანი**

# ჩიპოლინი ისტორიის სახელმძღვანელოში

**ახლა შემიძლია**, თავაწეული წავიდე, მაგრამ ერთ წელიწადს კიდევ ვირბოლებ და მერე ჩამოვალ ჩემი ველოდან — ჯიროს მე-8 ეტაპის მოგების შემდეგ ამ სიტყვებს სიამაყით ამბობდა დიდი იტალიელი, მსოფლიოს 36 წლის ჩემპიონი მარიო ჩიპოლინი.

რიეტიდან არეცომდე გასარბოლი 214 კილომეტრი „სუპერმარიომ" ყველაზე სწრაფად დაფარა და კარიერაში უმნიშვნელოვანესი, ჯიროს 41-ე მოგებული ეტაპი მიითვალა. ამით კი გაუტოლდა ლეგენდარულ ესპანელ ალფრედო ბინდასს, რომელმაც ჯიროს 41-ე ეტაპი შორეულ 1933 წელს მოიგო და ეს რეკორდი შაბათამდე ანუ ჩიპოლინის ზეობამდე ხელუხლებელი ყო.

ჩიპოლინიმ, რომელსაც ახალი მეტსახელი „მეფე ლომი" შეერქვა, საფინიშო სპურტში დაამარცხა ავსტრალიელი რობი მაკივენი და თანამემამულე ალესანდრო პეტაჩი. სხვათა შორის, წლევანდელ ჯიროზე პეტაჩიმ ორჯერ — მე-2 და მე-4 ეტაპებზე მოიტოვა უკან ჩიპოლინი და მარიოს კვირამდე არ დანება ბინდასის რეკორდის გამეორება.

„მე ყველა დავარწმუნე იმაში, რომ, მიუხედავად ჩემი ასაკისა, სიჩაუქე მაინც შემრჩა. ვგრძნობ, რბოლა კიდევ შემიძლია და მე ამას დავამტკიცებ. არც კი მახსოვს, ბოლო სამასი მეტრი როგორ გავიარე, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი — წინ არ გამეშვა მაკივენი და პეტაჩი, რომლებიც ჩემთან ერთად მსოფლიოს საუკეთესო მრბოლები არიან. ასე რომ, ორმაგად გახარებული ვარ. დავამარცხე მაკივენი და პეტაჩი და თან ბინდასთან ერთად მომიხსენიებენ. ეს ჩემთვის უდიდესი პატივია" — განაცხადა ჩიპოლინიმ.

სხვა ამბებიდან აღსანიშნავია ის, რომ შეიცვალა საერთო ჩათვლის ლიდერი. ეს მე-7 ეტაპის დასრულების შემდეგ მოხდა, რომელიც სამთო მრბოლმა სტეფანო გარძელიმ მოიგო.

გარძელი ჯილბერტო სიმონისთან ერთად წლეულს დამაჯერებლად იგებს ეტაპებს. ავეძანოდან ტერმინილომდე 146-კილომეტრიანი სამთო გზას ბოლოს სწორედ ეს ორნი შემორჩნენ და ერთნაირი დროც მოანდომეს ფინიშამდე მისვლას, მაგრამ ფოტოფინიშმა აჩვენა, რომ გარძელიმ სანტიმეტრებით მიასწრო სიმონის.

ამ ეტაპზე კი ვერ ივარგეს აღიარებულმა მთიელებმა ფრანჩესკო კასაგრანდემ, დარიო ფრიგომ, მარკო პანტინიმ და ფრიად ყოჩაღმა ესპანელმა აიტორ გონსალესმა. კასაგრანდე მე-12 იყო, პანტანი 25-ე, გონსალესი 39-ე, ხოლო ფრიგომ 42-ე ადგილზე დაასრულა რბოლა.

**ბაჩო სვანიძე**



REUTERS

მარიო ჩიპოლინი

## ტექნიკური შედეგები

**VII ეტაპი. 17 მაისი**
**ავეძანო — ტერმინილო 146 კმ**

1. სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) 3სთ 55წთ 19წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, საეკო) იგივე დრო
3. ანდრეა ნოე (იტალია, ალესიო) -26წმ

**VIII ეტაპი. 18 მაისი**
**რიეტი — არეცო 214 კმ**

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, დომინა ვაკანცე) 5სთ.29წთ.46წმ
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) იგივე დრო
3. ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) იგივე დრო

## საერთო ჩათვლა

1. სტეფანო გარძელი 37სთ. 9წთ. 10წმ
2. ჯილბერტო სიმონი -31წმ
3. ანდრეა ნოე -54 წამი



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ფორმულა 1 მსოფლიოს ჩემპიონატი მეექვსე ეტაპი



მიხაელის ცეცხლწაკიდებულ ბოლიდს მთელი „ფერარი" აქრობდა

# შუმახერს ცეცხლი არ ეკიდება

## ნიკი ლაუდა: დაამწყვდიეთ ეს კაცი!

**ავსტრიის** დიდი პრიზის რიგით 26-ე გათამაშება, სამწუხაროდ, უკანასკნელი გამოდგა. საფორმულო სამყაროში ერთ-ერთი საუკეთესო ეტაპი თამბაქოს რეკლამის აკრძალვას შეეწირა. ჯერჯერობით არავინ უწყის, ეს გაუჩინარება დროებითია თუ სამუდამო, რადგან საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელობამ ავსტრიელებს „სამეფო რბოლებში" დაბრუნების შანსი დაუტოვა, თუ „არამწეველ" სპონსორს იპოვნიან. ერთი მშველელი უკვე გამოჩნდა — იქაური მატონიზირებული სასმელების მწარმოებელი კამპანია „რედ ბული", რომელსაც შპილბერგის ავტოდრომის შეძენა განუზრახავს. ჯერ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ გაისად რბოლა არ ჩატარდება.

აღმართ-დაღმართიან და ჩქაროსნულ ტრეკზე ბოლო გაჯირითება, წლევანდელი წინა ორი ეტაპისგან განსხვავებით, გაცილებით დაძაბული და ემოციური გამოდგა.

ჯერ კვალიფიკაციაზე ვთქვათ. რამდენიმე მრბოლი, მათ შორის ფერნანდო ალონსო და დევიდ კულჰარდი, შეცდომებმა საგრძნობლად აზარალა. ალონსოს ტრასიდან ქვიშიან ზონაში გასრიალება 11 წამის დაკარგვად დაუჯდა. შედეგად, სტარტზე ბოლოსწინა პოზიციაზე იდგა და, ბუნებრივია, მორიგი პოდიუმის იმედიც თავიდანვე გადაეწურა. სამაგიეროდ, პრაქტიკულად უნაკლოდ გაიქროლეს სხვა წამყვანმა პილოტებმა. ეს განსაკუთრებით მიხაელ შუმახერზე ითქმის. ხუთგზის ჩემპიონმა თავისი ახალი ბედაური ყველაზე რთულ, პირველ და ბოლო მოსახვევებში ვირტუოზული სიზუსტით გაატარა და კარიერაში 54-ე პოული მოიპოვა. მას მიკროსკოპიული სხვაობით (0,04 წამი) ჩამორჩა ჩემპიონატის ლიდერი კიმი რაიკონენი, რომელიც წლეულს პირველად დადგა პირველ სასტარტო რიგში, მესამე პოზიციაზე კი ხუან პაბლო მონტოია მოკალათდა.

რბოლის დაწყება ორჯერ ჩაიშალა, ორჯერვე ახალბედა კრისტიანო და მატას მიზეზით — მის „ტოიოტას" ძრავა ჩაუქრა. ასეთ შემთხვევებში ხელმეორე სტარტი ხუთიოდე წუთით ფერხდება, მრბოლები ხელახლა მიდიან გასახურებლად და დისტანციაც თითო წრით მცირდება. და მატამ მესამე ცდაზე მანქანა, როგორც იქნა, დაქოქა და რბოლაც დაიწყო.

მიხაელმა უპრობლემოდ შეინარჩუნა ლიდერობა, მის უკან კი დიდი მანევრები მოხდა: მონტოიამ იოლად აუარა გვერდი წამით შეყოვნებულ რაიკონენს, ხოლო ბარიკელომ — ჰაიდფელდს. ანტონიო პიცონიამ იარნო ტრულის და ჯენსონ ბატონს გაასწრო, რალფ შუმახერმა კი ჯანკარლო ფიზიკელას. ამდენ მიწევ-მოწევაში ერთი შეჯახებაც არ მომხდარა, თუმც ტრასაზე მაინც გამოჩნდა უსაფრთხოების „მერსედესი". მიზეზი გახდა იოს ფერსტაპენი, რომლის „მინარდიც" დასაწყისშივე, სამასიოდე მეტრის გავლის მერე მიესვენა გზისპირა ბარიერთან.

სამი წრის მერე პეისკარმა ქარავანი მიუშვა და მიხაელმაც აიწყვიტა, მაგრამ ვიდრე სოლიდურ უპირატესობას მიაღწევდა, მონტოიამ ერთი-ორჯერ გასწრება დაუპირა. ჩემპიონმა თავისი პოზიცია კი დაიცვა, მაგრამ ისე მკვეთრად, რომ ხუანისგან მუშტის მოღერებას გამორჩა. ბარიკელომაც არაერთხელ სცადა რაიკონენის ჩამოტოვება, თუმც უშედეგოდ. ჩასათვლელ რვიანში იყვნენ აგრეთვე ჰაიდფელდი, პიცონია, ტრული და ბატონი. 15 წრის შემდეგ შუმახერსა და მონტოიას შორის სხვაობა რვა წამამდე გაიზარდა. მალე პიტსტოპების დროც დადგა — რაიკონენმა და მონტოიამ საბოქსე პროცედურა სწრაფად გაიარეს, ფერარელებს კი მოულოდნელად სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ყოველ გუნდს ბენზინის ჩასასხმელი ორი ავტომატური აგრეგატი აქვს. რუბენსის მანქანის მომსახურებისას ერთი გაფუჭდა და ვიდრე მეორე შლანგს მოარგებდნენ, ოცი წამი დაიკარგა. ორიოდე წრის მერე მიხაელის სტუმრობისას კი უარესი მოხდა — შლანგი საწვავის ავზის ყელში გაიჭედა და ჯაჯგურში გადმოღვრილი ბენზინი უცბად აალდა. მექანიკოსები არ დაბნეულან და ორიოდ წამში ცეცხლი ჩააქრეს. რკინის ნებისყოფიანი გერმანელი მშვიდად ადევნებდა თვალს მეხანძრეთა ფაციფუცს. მანქანა არ დაზიანებულა და 20,4-წამიანი ინციდენტის შემდეგ „წითელი ბარონი" ტრასაზე მესამე დაბრუნდა მონტოიას და რაიკონენის უკან, ათიოდე წრის შემდეგ კი ფინელის „მაკლარენს" ორმაგ მოსახვევში ოსტატურად გაასწრო. იქვე კოლუმბიელის „უილიამსმა" ბოლი გაუშვა და შუმახერმაც ლიდერობა დაიბრუნა. გამარჯვებულის ვინაობაც პრაქტიკულად მაშინ გაირკვა, რადგან მეორე პიტსტოპამდე აგრეგატები შეაკეთეს და ჩემპიონის ფანტასტიკური „F2003GA"-ის გამსწრები აღარავინ იყო. ბარიკელო ისევ წამოეწია რაიკონენს და ერთი-ორჯერ კვლავ შეუტია, მაგრამ რაკი ფინელი დათმობას არ აპირებდა, რუბინიო ზედმეტ რისკს მოერიდა და ზედიზედ მესამედ მესამე ადგილითაც კმაყოფილი დარჩა. ნირწამხდარი არც „ყინულის კაცი" ჩანდა — სამეორეადგილო რვა ქულით სატურნირო ცხრილში მეწინავეობა შეინარჩუნა.

რაც შეეხება შუმახერს, მან შპილბერგში წრის სიჩქარის თავისივე რეკორდი გააუმჯობესა და 67-ე დიდი პრიზი ჰეთ თრიქით (პოული, უსწრაფესი წრე, გამარჯვება) მოიპოვა. ბოლო სამ ეტაპზე მისი უპირატესობა იმდენად აშკარაა, რომ ლეგენდარულ ნიკი ლაუდას აზრით, ჩემპიონატისთვის ინტრიგის შესანარჩუნებლად მხოლოდ ერთი გზა არსებობს, მიხაელი სამი-ოთხი რბოლით სადმე ჩაკეტონ.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

**ავსტრიის დიდი პრიზი**
**18 მაისი. შპილბერგი**
დისტანცია — 69 წრე — 298,494 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (1) | მ. შუმახერი (ფერარი) | 1:24.04,888 (213,0 კმ/სთ) |
| 2. | (2) | რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 3,362 |
| 3. | (5) | ბარიკელო (ფერარი) | 3,951 |
| 4. | (7) | ბატონი (B.A.R) | 42,243 |
| 5. | (14) | კულჰარდი (მაკლარენი) | 59,740 |
| 6. | (10) | რ. შუმახერი (უილიამსი) | 1 წრით |
| 7. | (17) | ვებერი (იაგუარი) | 1 წრით |
| 8. | (6) | ტრული (რენო) | 1 წრით |
| 9. | (8) | პიცონია (იაგუარი) | 1 წრით |
| 10. | (13) | და მატა (ტოიოტა) | 1 წრით |
| 11. | (16) | ფირმენი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 12. | (12) | ვილნევი (B.A.R) | 1 წრით |
| 13. | (18) | უილსონი (მინარდი) | 2 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (9) | ფიზიკელა (ჯორდანი) | გაიარა 60 წრე |
| (19) | ალონსო (რენო) | 46 |
| (4) | ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 44 |
| (3) | მონტოია (უილიამსი) | 32 |
| (11) | პანი (ტოიოტა) | 6 |
| (20) | ფერსტაპენი (მინარდი) | 0 |
| (15) | ფრენცენი (ზაუბერი) | სტარტი არ აუღია |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
მ. შუმახერი 1.09,150 (225,2 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ. შუმახერი 1.08,337 (227,9 კმ/სთ)

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 9 მარტი | მალაიზია 23 მარტი | ბრაზილია 6 აპრილი | სან მარინო 20 აპრილი | ესპანეთი 4 მაისი | ავსტრია 18 მაისი | მონაკო 1 ივნისი | კანადა 15 ივნისი | ევროპა 29 ივნისი | საფრანგეთი 6 ივლისი | დ.ბრიტანეთი 20 ივლისი | გერმანია 3 აგვისტო | უნგრეთი 24 აგვისტო | იტალია 14 სექტემბ. | აშშ 28 სექტემბ. | იაპონია 12 ოქტომბ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | 6 | 10 | 8 | 8 | – | 8 | | | | | | | | | | | 40 |
| 2 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 5 | 3 | – | 10 | 10 | 10 | | | | | | | | | | | 38 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | – | 8 | – | 6 | 6 | 6 | | | | | | | | | | | 26 |
| 4 ალონსო რენო, ესპანეთი | 2 | 6 | 6 | 3 | 8 | – | | | | | | | | | | | 25 |
| 5 კულჰარდი მაკლარენი, დ.ბრიტანეთი | 10 | – | 5 | 4 | – | 4 | | | | | | | | | | | 23 |
| 6 რ. შუმახერი უილიამსი, გერმანია | 1 | 5 | 2 | 5 | 4 | 3 | | | | | | | | | | | 20 |
| 7 მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 8 | – | – | 2 | 5 | – | | | | | | | | | | | 15 |
| 8 ფიზიკელა ჯორდანი, იტალია | – | – | 10 | – | – | – | | | | | | | | | | | 10 |
| 9 ტრული რენო, იტალია | 4 | 4 | 1 | – | – | – | | | | | | | | | | | 9 |
| 10 ბატონი B.A.R, დ.ბრიტანეთი | – | 2 | – | 1 | – | 5 | | | | | | | | | | | 8 |

ფრენცენი (ზაუბერი) — 7; ვებერი (იაგუარი) — 4; ვილნევი (B.A.R), და მატა (ტოიოტა) — 3; ჰაიდფელდი (ზაუბერი), ფირმენი (ჯორდანი) — 1 ქულა

*ერთი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო — ასეთი შედეგით დასრულდა ქართველ ძიუდოისტთა გამოსვლა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე. შარშანდელ ორ ბრინჯაოსა და ერთ ვერცხლთან შედარებით თითქოს ნინსვლაა, მაგრამ გაცილებით მეტის იმედი გვქონდა, განსაკუთრებით პირველი დღის შემდეგ*

# დღიური ლუკმა

**ჩემპიონატი** ნესტორ ხერგიანის გამარჯვებით დაიწყო. 60 კილო წონაში მას ღირსეული წინააღმდეგობა მხოლოდ ჯოვანი კარელამ გაუწია, რაც იმაში გამოიხატა, რომ იტალიელმა დამატებით დროში ვაზარით წააგო. დანარჩენ შეხვედრებში ხერგიანი ტატამის სრული ბატონ-პატრონი იყო — ბელგიელმა ტაიმანსმა, მოლდოვმა მიხაილოვმა და ინგლისელმა კრეიგ ფალონმა ერთი შედეგიანი ილეთის ჩატარებაც ვერ მოახერხეს.

ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან დავით მარგოშვილიც. ლატვიელი კოზლოვსი სამ წუთში და ბელარუსი შლიკი ოთხ წუთსა და 38 წამში იპონით დაამარცხა. ესპანელ პენასთან და ებრაელ ვაქსთანაც მისი უპირატესობა აშკარა იყო. ფინალში ფრანგ ბენჟამენ დარბელთან დამატებით დროში პირველი შედეგიანი გდება კი მეტოქისა გამოდგა.

რამაზ ჩოჩიშვილმა ნაკრებში ადგილი მხოლოდ დავითაშვილის ბაკურიანში მოსამზადებელ ეტაპზე დაშავების შემდეგ დაიბევა. ამიტომაც მის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი კიდევ უფრო გასახარია. რამაზი მეორე წრეში ჰოლანდიელ დენის ვან დერ გეესტთან დამარცხდა, მაგრამ შემდეგ ძალების მოკრება და იტალიელი ბრაიდოტის სუფთად დამარცხების შემდეგ მცირე ფინალში ასევე სუფთად მოუგო ბულგარელ ილიევს.

წარმატებული დასაწყისის შემდეგ, ეტყობა, ჩვენი ძიუდოისტები ზედმეტად თავდაჯერებულები გახდნენ და მეორე და მესამე დღეებს ფსიქოლოგიურად მოუმზადებლები შეხვდნენ.

შარშანდელი მსოფლიოს თასის მფლობელმა ზურაბ ზვიადაურმა სულ ორიორი წუთი დაახარჯა ესპანელ ალირზას და სლოვაკ მინარიკს. ნახევარფინალში ადვილად დაწინაურდა რუსეთის წარმომადგენელ ჰასანბი ტაოვთან და საქმე მომთავრებულად ჩათვალა. ტაოვმაც, რომელიც აქამდე მხოლოდ თავს იცავდა, ერთი გდება ჩაატარა და... იპონი. ზვიადაურიც გატყდა და მესამე ადგილისთვის ბრძოლა დათმო თურქ ილმაზთან.

კარგად დაიწყო ივერი ჯიქურაულმაც. ჩეხი კობზა და ფრანგი ლემერი სუფთად დაამარცხა. არც გერმანელ გიორშერთან შექმნია პრობლემები. ნახევარფინალში ჩოჩიშვილის დამმარცხებლის, დენის ვან დერ გეესტის ძმას, ელკოს შეხვდა. ამათში გამარჯვებულს ფინალში ებრაელი ზეევი ელოდა. აქამდე ივერი ზეევს სადაც შეხვედრია, ყველგან დაუმარცხებია, მაგრამ ამ ჯერზე ზეევამდე ვერ მივიდა, ნახევარფინალში ელკო გეესტს მეოცე წამზევე გდება იპონად შეუფასეს.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში დაწინაურებული ჯიქურაული ბოლო წამებზე უნგრელმა კოვაჩმა შებოჭა და ბრინჯაოც თავად დაისაკუთრა.

კიდევ უფრო წარუმატებლად იასპარეზეს ლავით ქევხიშვილმა და ზვიად ხანჯალიაშვილმა. თითო გამარჯვებას ორი დამარცხება მიაყოლეს და ტურნირს ნაადრევად გამოეთიშნენ. მინდია ბოდაველმა კი ესეც ვერ შეძლო. პირველივე ორთაბრძოლაში დამარცხდა ინგლისელ ბარტონთან.

ტურნირის პირველი სამი დღის განმავლობაში ერთეულთა თანრიგში ნაჭიდავები ქართველი ძიუდოისტები ორშაბათს გუნდურ პირველობაში ჩაებნენ. პირველობას ვამბობთ, მაგრამ ქართველთა ნაკრებს მხოლოდ ერთ მეტოქესთან შებმამ მოუწია. როგორც მოქმედმა ევროჩემპიონებმა, ქართველებმა გამოტოვეს პირველი წრე, მეორეში კი იოლად — 5:1 დაამარცხეს ავსტრიელები, რომელთაც მანამდე მოულოდნელად გაეგდოთ საკმაოდ ძლიერი ჰოლანდიელები. ავსტრიელთა ძლევით ჩვენებმა გზა გაიკაფეს საჩემპიონო ოთხია ტურნირში, რომელიც მოგვიანებით ლონდონში გაიმართება და იდეაში გრანდიოზული შოუს თანხლებით წარიმართება.

**ზოთა ძოპალეიშვილი**



ნესტორ ხერგიანმა ფინალში ინგლისელი კრეიგ ფალონი დასცა

ხელბურთის კლუბი „სტუ-შევარდენი"
ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში
ცნობილი ხელბურთელი, წლების მანძილზე კლუბისა და
საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი
**გია ნარიმანიძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს







რომში დამარცხებულმა ამელი მორესმომ
გამარჯვებული კიმ კლაისტერსი ჩაყოცნა

# სმრმნა შო!
## მამალმა ქალმა დედალი ავაზა ჩაჩოგნა

**TENNIS MASTERS HAMBURG**
**ჰამბურგი. თიხნარი**
**საპრიზო 2,45 მილიონი ევრო**

**მეოთხედფინალი**

**დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) — ფერნანდო გონსალესი (12, ჩილე) 5:7, 6:3, 6:4; გილერმო კორია (12, არგენტინა) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:2, 6:0; აგუსტინ კალერი (არგენტინა) — უეინ ფერეირა (სამხრეთ აფრიკა) 7:5, 6:2; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:1, 6:1**

**ნახევარფინალი**

**კალერი — ნალბანდიანი 6:4, 6:1; კორია — გაუდიო 6:3, 6:7 (3:7), 6:0**

**ფინალი**

**კორია — კალერი 6:3, 6:4, 6:4**

თვისტომ კალერის დამარცხებამ 21 წლის გილერმო კორიას კარიერის პირველი მასტერსტიტული მოანაგვრინა.

ლეგენდარული გილერმო ვილასის შემდეგ — ვისი ხათრითაც დაერქვა კიდეც მას სახელი გილერმო — კორია გახდა მეორე არგენტინელი, ჰამბურგის ზეპურ თიხნარზე რომ იპირველა. ეგებ ვინმეს აღარ ახსოვდეს — იქაური სანახები ვილასმა შორეულ 1978-ში გაჯეგა.

კორიასთვის ეს მეორე საკარიერო ტიტულია. პირველი ჯილდო მან 2001 წელს ვინადელმარულ თიხნარტურნირზე მოიხვეჭა.

ჰამბურგულმა ჩაუქობამ კორიას ტიტულზარდახშის გარდა მისი ბიუჯეტიც მაგრად გაამდიდრა. ჭაბუკ რუფინოელს ერთბაშად 462 313 დოლარი ერგო.

რაც შეეხება საამკვირაო რეიტინგსიებს — 12-თვიან მგორავ კლასიფიკაციაში მან საარაკოდ, მეთექვსმეტე ადგილიდან მეშვიდემდე ისკუპა და პირველად აღმოჩნდა ზეათეულში, ჩემპიონთა რბოლაში კი მერვე საფეხური მეხუთეზე გადაცვალა.

ამ ნახტომებს შორის განსხვავებამ არ გაგაკვირვოთ — წლეულს კორია ჰამბურგამდეც საუცხოოდ ირჯებოდა და ვინძლო მოიგონოთ, რამდენიმე კვირის წინ მონტეკარლოურ მასტერსფინალამდეც მიაღწია, სადაც ტიტულის დამცველ ხუან კარლოს ფერეროსთან დამარცხდა.

ნაჰამბურგევს კი ის 9 მარცხის წილ უკვე 27 გამარჯვებას მოიძევს, რაიც — თუნდ ნუ დაგვეთანხმებით — დასტურ რიგიანი მონაგარია.

სხვაფრივ — და ამის უთქმელობა არა და არ იქნება — მასტერსპაექრობათა ისტორიაში, ანუ 1990 წლიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე ეს პირველად მოხდა, რაგინდარა მასტერტურნირის ოთხივე ნახევარფინალისტი ერთსა და იმავე ქვეყანას (ამ შემთხვევაში, არგენტინას) რომ წარმოადგენდა.

ამ ოთხიდან ორმა, კორიას მიერ ძლეულებმა — გაუდიომ და კალერიმ წლეულს უკვე 24-24 თიხნარგამარჯვებები დაიგროვეს და ამ მაჩვენებლით თავად ესპანელს ყოჩებს, ფეოეროსა და მოიასაც კი გადაუსწრეს.

**TELECOM ITALIA MASTERS**
**რომი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი**

**მეოთხედფინალი**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 7:5, 6:2; კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) — ანასტასია მისკინა (8, რუსეთი) 6:2, 6:2; ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — ჯენიფერ კაპრიატი (5, აშშ) 6:3, 7:6 (12:10); აი სუგიამა (13, იაპონია) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 6:1, 6:3**

**ნახევარფინალი**

**მორესმო — უილიამსი 1:6, 7:5, 6:3; კლაისტერსი — სუგიამა 6:3, 6:2**

**ფინალი**

**კლაისტერსი — მორესმო 3:6, 7:6 (7:3), 6:0**

ბომბორა კიმ კლაისტერსმა კარიერის მე-13, ხოლო სეზონის მე-3 ტიტულთან ერთად იმ დღეს 189 ათასი დოლარიც მოიგო.

ეს ამბავი — თავადაც ხედავთ — რომაული ბობოლა ტურნირის ფინალში მოხდა, სადაც ლ[illegible] ბელგიელი ნანდაური, მამალ ფრანგ ამელი მორესმოს ერკინებოდა.

მორესმოს იმის იმედი ჰქონდა, რომ მეოთხედფინალში ჯენიფერ კაპრიატის, ხოლო — რაც უმთავრესია — ნახევარფინალში სერენა უილიამსის წამოქცევის შემდეგ ფინალშიც ისევე დაშხოშიანად იჩოგნავებდა.

არ გამოუვიდა, რაკილა, თუკი კაპრიატისა და სერენასთან ლონიერმა ბათქა-ბუთქმა კაცურად გაჭრა, ტაქტიკურად უფრო განსწავლული კლაისტერსის წინააღმდეგ საკმარისო ველარ გამოდგა. კიმმა უფრო მრავალფეროვნად ითამაშა, მეტოქეს არც გლაჯუნში დაუდო ტოლი და დამსახურებულად იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ წლეულს მან სიდნეისა და ინდიან უელსის ტურნირებიც მოიგო, ხოლო ამის წინა უქმეებზე ბერლინური ბობოლა ტურნირის ფინალშიც ითამაშა, სადაც — თქვენი მეხსიერების იმედიც გვაქვს — თვისტომ ჟუსტინ ენენ-არდენისგან გაილახა.

ჰო, მართლა — კიმი გახდა პირველი ბელგიელი, ვინაც მარადიულ ქალაქში გაჩემპიონება შეძლო.

რაც შეეხება მორესმოს, ვინაც რომაულ ფინალში 2000-01 წლებშიც დამარცხებულა, ის ნუგეშად იმასაც იკმარებს, რომ ამ ტურნირზე მეექვსე პირად შეხვედრაში პირველად მოერია ხარაბუზა სერენას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ორიოდ კვირის წინ ზორბა ლესბოსელმა ვარშავულ თიხნარზე ვინუსიც გაწნეხა, ერთგვარი ეჭვი თავისთავად დაიბადება — ამელიმ შავდებს გემო და რამე-რუმე ხომ არ გაუგო?!

ხოლო რაღაი და საუბარი ლესბოსელობაზე ჩამოგვივარდა, აქვე ყველა დროის ალბათ ყველაზე დიადი ლესბოსელის, მარტინა ნავრატილოვას მორიგ გმირობაზეც უნდა ითქვას.

47 წლის მარტინამ რომში ნინველა რუსგოგო სვეტლანა კუზნეცოვა შეიმეგობრა და კარიერის 170-ე საწყვილო ტიტული მოიმკა. ფინალში მათმა ჯუფთმა ელენა დოკიჩისა და ნადია პეტროვას წყვილი მოაშთო 6:4, 5:7, 6:2.

არადა, დოკიჩისა და პეტროვას ასაკთა შენაკრები ჯამში მხოლოდ 40 წელს იძლევა...

თავის პირველ რომაულ წყვილფინალში ნავრატილოვას 1973 წელს უთამაშია — მაშინ მისი და რენატა ტომანოვას ჯუფთი ოლგა მოროზოვასა და ვირჯინია უედის ჯუფთთან დამარცხდა.

**ლევან ძელაურაძე**





სერენა უილიამსი განა ხშირად დაცემულა ასე

**სარბიელი**
**სპორტული გაზეთი**
**გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან**
**გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს**

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
**ქართული ფეხბურთის რედაქცია:** დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
**უცხოური ფეხბურთის რედაქცია:** გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვადაკიძე, კაკა იუცაიშვილი
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი:** ირაკლი ფირაშვილი
**ინფორმაციის რედაქცია:** გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ძელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
**კორესპონდენტი გერმანიაში** ვანო ოქროპირიძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
**კომპიუტერული ცენტრი:** ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

**რედაქციის მისამართი:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge